545/3
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 10 ოქტომბერი 1959 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაო ძე-დუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1142



ვაშინგტონი. საუბარი თეთრ სახლში. ნ. ს. ხრუშჩოვი და დ. ეიზენჰაუერი

# მშვიდობიანი თანაარსებობისათვის

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებას.

მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანი ცამეტი დღის განმავლობაში შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურის ამ ფრიად მნიშვნელოვან შეხვედრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის გულახდილი და დამარწმუნებელი განცხადება ყველა სახელმწიფოსა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ გულში ჩაწვდა ამერიკის და მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს და აღაფრთოვანა ისინი.

ამერიკის უბრალო ადამიანებმა გულითადი შეხვედრებისა და საუბრების დროს პირადად მოისმინეს ნ. ს. ხრუშჩოვისაგან სინამდვილე ძლიერი და მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ქვეყანაზე, მის მიღწევებზე სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანები ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა და ამერიკის მთავრობათა ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც გამოხატულია ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მოლაპარაკებათა მთავარი შედეგი — რომ ყველა გადაუწყვეტელი საერთაშორისო საკითხი მოწესრიგდეს არა ძალის გამოყენებით, არამედ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებებით.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ სრული და საყოველთაო განიარაღების საკითხი ამჟამად ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია და რომ ყოველ ღონეს იხმარენ ამ პრობლემის შესაბამისად გადაჭრისათვის, რაც ხალხთა ურთიერთობაში ძირეულ ცვლილებებს გამოიწვევს და ნამდვილად შექმნის პირობებს ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

— ეს იქნებოდა დიდი მიღწევა ყველა ხალხისათვის მშვიდობის უზრუნველყოფისა და მეგობრული ურთიერთობის ატმოსფეროს შექმნისათვის. ეს იქნებოდა მშვიდობიანი თანაარსებობის, ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განვითარების, ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის კონკრეტული უზრუნველყოფა, რაც ყველა ხალხს ესაჭიროება, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა პეკინში ჩასვლისას.

მთავრობის მეთაურები სხვა გადაუჭრელ საერთაშორისო საკითხთა შორის შეეხენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხს, როგორც ერთერთ პირველხარისხოვან მხარეს და ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები.

ამჟამად, რაც საერთაშორისო ურთიერთობა ისეთ პერიოდში შედის, როცა ყველა ქვეყნისა და ხალხის მთელი ძალები მიმართულია საერთაშორისო ატმოსფეროს ძირითადი გაუმჯობესებისაკენ, მშვიდობისმოყვარე ადამიანები გამოთქვამენ იმის ღრმა რწმენას, რომ ჩვენი უდიდესი საუკუნე ნამდვილად გახდება მშვიდობისა და პროგრესის საუკუნედ.

## პეკინი. ჩინეთის ქალთა ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარეს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ათი წლისთავზე, ამ საყოველთაო-სახალხო სიხარულის დღეებში, საბჭოთა საქართველოს ქალები მხურვალედ გილოცავთ ჩინელ დებს დიდ დღესასწაულს და ვუსურვებთ თქვენს დიად სამშობლოს შემდგომ ზრდასა და აყვავებას მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მხოლოდ ათი წელი გავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან. ამ ხნის მანძილზე ჩინეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს ისეთ დიდ წარმატებებს, როგორიც საუკუნეების მანძილზე ვერ მოიპოვეს წინა თაობებმა.

ახლა, ამ დიად ეპოქაში, როდესაც მთელი ჩინელი ხალხი ახალი, ლამაზი ცხოვრების შესაქმნელად იღწვის, ჩვენ სიხარულით ვადევნებთ თვალს ჩინელი ქალების არნახულ ზრდას. ისინი ყველგან არიან: გიგანტურ ქარხნებში, გრანდიოზულ მშენებლობებზე, აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენთვის ახლობელი და საყვარელია ჩინეთის მოწინავე ქალების: სუნ ცინ-ლინის, ცაი ჩანის, დენ ინ-ჩაოს, სუი გუან-ნინის, ხე სიან-ნინის, ციან-ინის, ლი დე-ცუიანის სახელები. ისინი ბევრნი არიან, ათასები, ასეული ათასები...

ჩვენ ვიცით როგორ ბრძოლას ეწევიან ჩინელი ქალები მშვიდობისათვის, უშფოთველი ბავშვობისა და მშვიდი მოხუცებულობისათვის, იმისათვის, რომ ადამიანებმა კვლავ აღარასოდეს გამოსცადონ ომის საშინელებანი, რომ დედამიწაზე ყვაოდეს მუდმივი გაზაფხული.

ჩვენ, ისე, როგორც თქვენ და მთელ პროგრესულ კაცობრიობას, გვსურს ყველა ხალხთან მეგობრულად ვიცხოვროთ. ეს გრძნობა ამოძრავებდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის ამასწინანდელ მოგზაურობის დროს. ამ მაღალ მისწრაფებას ემსახურება კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა გული და გონება.

მეგობრობა ყველა სიკეთის დედაა. დაე, ამ ჩვენმა მეგობრობამ მხოლოდ მშვენიერი ყვავილები ახაროს.

ძვირფასო დებო! გილოცავთ რა დიად დღესასწაულს, საქართველოს ქალები გისურვებთ სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს თქვენს კეთილშობილურ შემოქმედებით შრომაში.

**საქართველოს ქალთა აქტივი**

## 友好报

ეს ამბავი საძხრეთ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში მიხდა: შაბათი საღამო იყო. პატარა ფარმაცევტული ფაბრიკის ვიწრო, სიძველისაგან ჩამოწოლილი შენობის მეოთხე სართულზე სამი ქალი მუშაობდა: ოცდაექვსი წლის სიან სიუ-ლი და მისი მეგობრები ლო და ცაი. ქუჩიდან ისმოდა ხალხის ხმაური, ავტომანქანების სირენების ხმა, ბორბლების გრიალი.

სიან სიუ-ლი ლოს ეხმარებოდა სპირტის გადმოსხმაში. გადმოწევის დროს სავსე ბოთლი ხელიდან გაუცურდათ, იატაკს დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. შემდეგ ყველაფერი ელვისსისწრაფით მოხდა: დაღვრილი სპირტი მაყალით გახურებულ ჰაერს შეერთო და აინთო. ალის მოლურჯო ენები ყოველმხრივ გაცოცდა, ცეცხლი მოედო ლოს წინსაფარსა და თმას.

— დაწექი! იატაკზე გადაგორდი!—დაუყვირა მას სიან სიუ-ლიმ.

ფანჯარასთან ნატრიუმიანი ბიდონები იდგა. ცეცხლს რომ იქამდე მიეღწია, აფეთქება დააზარალებდა არა მარტო ფაბრიკას, არამედ ირგვლივ მდებარე შენობებსაც და ხალხსაც ქუჩაში. ცეცხლი არ უნდა გავრცელდეს! — და სიან სიუ-ლიმ თავსაფარი მოიგლიჯა, ხელზე დაიხვია, დაიჩოქა და ალმოდებული სითხის გახვეტა დაიწყო. ცაი დასახმარებლად მივარდა.

— საჭირო არ არის! გაიქეცი, ხალხს შეატყობინე!——უბრძანა მას სიან სიუ-ლიმ.

აი. დაიფერფლა თავსაფარი. ცეცხლის ენები კი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს, უწვავს მკერდს, ზურგს. მაგრამ ახალგაზრდა ქალი ძლევს აუტანელ ტკივილებს და თავგამოდებით ებრძვის ცეცხლს.

დასახმარებლად მოსულმა ადამიანებმა დაინახეს იატაკზე გართხმული ცეცხლმოდებული ქალის ფიგურა. როცა სიან სიუ-ლიმ ამხანაგების ხელების შეხება იგრძნო, დათუთქული ტუჩებით ძლივს დაიჩურჩულა:

—— ნატრიუმი!

სამი თვით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა, სიან სიუ-ლის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად იღებდნენ. ათი კომუნისტი—ფაბრიკის უჯრედი—ყურადღებით უსმენდა ქალს, რომელიც თავისთავზე მოუთხრობდა მათ...

სიღატაკე და გაჭირვება იყო სიან სიუ-ლის ხვედრი პატარაობიდანვე. დადიოდა გოგონა და შიმშილისაგან დაბნელებული თვალებით შესცქეროდა სამყაროს. ქვეყანაში ომის ხანძარი გუგუნებდა. სასოფლო გზებზე მდინარესავით მოედინებოდნენ ლტოლვილთა მწკრივები. ხუთი წლისა იყო, როცა მისმა ოჯახმა, იაპონელთა ყუმბარების შიშით, დასტოვა მშობლიური ქალაქი გუანჯოუ. გაჭირვებამ აიძულა მშობლები პატარა სიან სიუ-ლი მემამულესთვის მიებარებინათ.

სამუდამოდ დაამახსოვრდა მას სიბრაზისაგან დამახინჯებული პატრონის რძლის სახე

---

იბეჭდება შემოკლებით.

# მგზნებარე გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მტანჯველი გრძნობა, მისი დარტყმის მოლოდინში რომ განიცდიდა. ცხრა წლისა უკვე ალიონიდან ალიონამდე მუშაობდა: ქურაზე ქვაბს რომ მისწვდენოდა, სკამზე დგებოდა. როცა ბამბუკის სამხრეებით წყლით სავსე ბანდიებს მიათრევდა, ლერწამივით ილუნებოდა... ერთხელ ფეხზე ბადია დაეცა და თითი დაუჩეჩქვა. მეორე დღეს პატრონმა ბრინჯის ჩითილების გადასარგავად გააგდო. იდგა მუხლებამდე წყალში და ხარობდა: ცივი ტალახი თითქოს ტკივილებს უამებდა. ღამით თითი გაუშავდა და გაუსივდა. რამდენიმე დღე სიცხით გათანგული იწვა თავის სოროში. მემამულე შეშინდა: მოკვდება და კუბოს შესაძენად ფული დამეხარჯებაო და ავადმყოფი გოგონა სახლიდან გააგდო.



ომის შემდეგ სიან სიუ-ლიმ იხილა ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული გუანჯოუ. მაგრამ რიკშების ეტლებში მდიდრულად მორთული ადამიანები ისხდნენ კვლავინდებურად, ადიოდნენ საჩაიე სახლების განათებულ კიბეებზე. სიან სიუ-ლის კარგად ახსოვდა ეს განიერი კიბეებიც, რამდენჯერ მოურბენია აქ დილაბნელზე და სხვა ღარიბებთან ერთად რიგში დამდგარა ოფიციანტის მოლოდინში, რომელიც ნამძინარევი სახით ჩამოდიოდა კიბეებზე და ვედროებში ჩასხმულ სადილის ნარჩენებს ყიდდა!..

ათი წლის წინათ თექვსმეტი წლის მუშამ სიან სიუ-ლიმ გუანჯოუს ქუჩებში დაინახა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის კოლონები. შესცქეროდა გოგონა გამხდარ, მომღიმარე ჯარისკაცებს და მისი გული თრთოდა დიდი, ჯერ არნახული გარდაქმნების წინათგრძნობით.

ცხოვრება რომ იცვლებოდა, განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნო იმ დღეს, როცა სკოლაში აცილებდნენ მის უმცროს ძმას. დედამ თხუთმეტი შვილი შობა, რვა გამოზარდა, მაგრამ ასეთ რამეს პირველად განიცდიდა. ბიჭი იდგა და მოუთმენლად ტოკავდა. ვერ მიმხვდარიყო თუ რატომ ღელავდა ასე ყველა. სიან სიუ-ლიმ მკერდზე მიიკრა ძმა და წასჩურჩულა:

— ბიჭიკო, გესმის, რა ბედნიერი ხარ?!

ქალიშვილის ხმა თრთოდა, ლოყებზე ცრემლები ჩამოდიოდა. ხარობდა და ნაღვლობდა კიდეც, ნაღვლობდა საკუთარ გაუხარელ ბავშვობაზე.

დიდი გარდაქმნების ფონზე, ფარმაცევტული ფაბრიკა, სადაც იგი მუშაობდა, წყალდიდობით დატბორილი ქალაქის პატარა წყნარ ყურედ ეჩვენებოდა. ტყუილად როდი ეძახდნენ ამ ფაბრიკას «გაოს ოჯახის საგვარეულო ტაძარს». ოსტატები და ბევრი მუშაც მეპატრონეებთან დაკავშირებული იყვნენ ნათესაური დამოკიდებულებით.

ერთხელ როგორღაც სიან სიუ-ლი მრისხანე სიტყვით გამოვიდა ერთერთი მამასახლისის—მეპატრონის მოენისა და მარჯვენა ხელის—წინააღმდეგ. ეს იყო ახალგაზრდა მუშა-ქალის არა უბრალოდ პირველი საჯარო სიტყვა—მან მეგობრებთან ერთად გაილაშქრა საუკუნეობით ნაკურთხი მონური საფუძვლების წინააღმდეგ.

სიან სიუ-ლი პროფკავშირის კომიტეტის წევრად აირჩიეს, კურსებზე გაგზავნეს. პირველ ხანებში ქალი დარდობდა.

— ტყუილად ვჭამ ბრინჯს. ორი სიტყვის ჩაწერაც არ შემიძლია!—ქვითინით შესჩიოდა იგი მეზობელს კურსების საერთო საცხოვრებლიდან.

მეორე დღეს კურსების მსმენელები კინოში უნდა წასულიყვნენ, მეცადინეობის შემდეგ შესასვლელთან მოიყარეს თავი. სიან სიუ-ლის თანაკურსელი მიუახლოვდა:

— აბა, მაჩვენე შენი რვეული!

იმ დღის შემდეგ, დამთავრდებოდა თუ არა მეცადინეობა, თანაკურსელი ყოველთვის მიდიოდა ქალიშვილთან, უხსნიდა განვლილ მასალას, ეხმარებოდა როგორც საკუთარ დას. სიან სიუ-ლი კი მას თითქმის არც იცნობდა. იგი მისთვის უბრალოდ «ამხანაგი ხუანი» იყო.

ამხანაგი... აი როდის ჩასწვდა სიან სიუ-ლი მთელი სიღრმით ამ სიტყვის მნიშვნელობას!

კრებებზე აღგზნებულ სიტყვებში, კვირაობებზე დაძაბულ შრომაში, სიმღერებსა და კამათში ხდებოდა ადამიანის სულის ხელახალი ფორმირება.

იზრდებოდა და ფართოვდებოდა ქალიშვილის სამყარო, ამ ზრდას თავის კვალს ამჩნევდა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ყოველი დიდი მოვლენა.

... რაზე ლაპარაკობდა სიან სიუ-ლი მეგობრებთან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს?

ოცნებობდა—ჩქარა გადასულიყო სამუშაოდ ქიმიური კომბინატის ახალ კორპუსებში, რომლებიც ქალაქგარეთ შენდებოდა.

წუხდა—ვაი, თუ შევრცხვე კვირადილას სპორტული ნორმების ჩაბარების დროსო. მეგობრებს აჩვენა სახელოსნოდან ახლადგამოტანილი წითელი კოფთა.

— ამას ხვალ სტადიონზე ჩავიცვამ, იქიდან კი პირდაპირ სახლში, ჩვენებთან მივალო.

გატაცებით უყვებოდა ამხანაგებს თავის წლინახევრის ბიჭუნაზე...

უგრძნობლად მიიყვანეს სიან სიუ-ლი საავადმყოფოში. მისი სხეული თითქმის მთლიანად იყო დაფარული ძლიერი დამწვრობით. ოთხი დღის შემდეგ მოვიდა გრძნობაზე და ჩურჩულით იკითხა:

— აფეთქება ხომ არ ყოფილა? როგორ არიან ქალიშვილები?

სიან სიუ-ლის გადასარჩენად იბრძოდა საავადმყოფოს მთელი კოლექტივი. საუკეთესო ექიმები მკურნალობდნენ მას. საავადმყოფოს კარებთან და მის მისაღებში გზა-გასავალი არ იყო: დაუსრულებლად მოდიოდნენ ადამიანები, სთავაზობდნენ თავიანთ სისხლს, კითხულობდნენ, რა შეეძლოთ გაეკეთებინათ ქალის გადასარჩენად.

სიან სიუ-ლი მოთმინებით იტანდა ტანჯვას.

— ჩართეთ რეპროდუქტორი, მინდა მუსიკა მოვისმინო,—ამბობდა იგი,—მხოლოდ ხმამაღლა.

შემდეგ დახუჭავდა თვალს და კვნესოდა, ეგონა მუსიკა ჩაახშობდა მის კვნესას...

ოცდაცამეტი დღე ებრძოდა სიკვდილს სიან სიუ-ლი. იგი გარდაიცვალა ადრე დილით, როცა მის საყვარელ ქალაქში ახალი შრომითი დღე იწყებოდა.

.. ალმები სიან სიუ-ლის პორტრეტებით ფრიალებენ ქარხნებზე, ახალმშენებლობებზე. გაზეთები ყოველდღიურად იუწყებიან მისი სახელობის დამკვრელი ბრიგადებისა და საამქროების მამაცურ საქმეებზე. სიან სიუ-ლიზე იწერება წიგნები, იქმნება კინოფილმი, მისი გულის ცეცხლი ეხმარება მილიონობით ჩინელ მშრომელს თავისთავში აღზარდონ ახალი ჩინეთის პატრიოტების კეთილშობილური თვისებები.

**ვ. ოვჩინიკოვი**

# ცოდნის წყურვილით

**ხაო ძიან-სიუ**

მძიმე იყო ჩემი ბავშვობა. უკიდურესმა სიღარიბემ ჩემი მშობლები აიძულა პირდაპირ დაწყებითი სკოლიდან, სადაც მხოლოდ ერთი წელი დავყავი, ფაბრიკაში გავეგზავნე სამუშაოდ. მაშინ ათისა გავხდი.

...გაქრა ყოველგვარი იმედი სწავლის განგრძობისა, დამქანცველმა კატორღულმა შრომამ შთანთქა მთელი ჩემი არსება ქვეყნის განთავისუფლებამდე.

ახალმა ცხოვრებამ ჩემში წინსვლის დაუოკებელი სურვილები დაბადა.

— არა, ხაო,—ვუთხარი ჩემ თავს,—შენი ცხოვრება აღარ უნდა იყოს ისეთივე, როგორც წარსულში. შენ ახალი ჩინეთის აქტიური მშენებელი უნდა იყო, გახდე წითელი სპეციალისტი, გაუსწრო ძველ სპეციალისტებს.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერით მეგობარ მქსოველებთან ერთად შევიმუშავე რთვის ახალი მეთოდი, რომელსაც ხალხმა ხაო ძიან-სიუს მეთოდი უწოდა. ჩემთვის ეს იყო უდიდესი ბედნიერება. სამშობლოსათვის თავდადებული სამსახური გახდა ჩემი ცხოვრების მიზანი, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო დავუფლებოდი წარმოების კულტურას, ტექნიკის ახალ მიღწევებს.

ამხანაგები ჩემს გამოგონებას მეცნიერულ მეთოდად მიიჩნევდნენ, მე კი მაშინ არც მესმოდა სიტყვა «მეცნიერების» ნამდვილი მნიშვნელობა, წარმოდგენა არ მქონდა ელემენტალურ ტექნიკურ ცოდნაზე.

და აი, 1953 წლის ოქტომბერში ფაბრიკიდან გამგზავნეს პეკინში, ჩინეთის სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ საშუალო სკოლაში. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული... მე დავარწმუნე ჩემი მოამაგენი, რომ ვისწავლიდი კარგად და გავხდებოდი კვალიფიციური სპეციალისტი.

უჩვევს სწავლა მიძნელდებოდა. 4—5 გაკვეთილის შემდეგ გაოგნებული დავდიოდი, ველარ ვარჩევდი მთავარს მეორე ხარისხოვნისაგან, ჩქარა მავიწყდებოდა ახლადგადმონაცემი. ვბეჯითობდი, მაგრამ

---

*) წერილის ავტორმა ხაო ძიან-სიუმ, ცინდაოს სახელმწიფო ბამბეულის ფაბრიკის მრთველმა, შექმნა მოწინავე მეთოდი, რომელიც უდიდეს ეფექტს იძლევა სართავ წარმოებაში. შრომის წარჩინებულმა ნოვატორმა ქალიშვილმა ჩინელი ხალხის საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. მშრომელებმა იგი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატად აირჩიეს.

# წინათ და ახლა

**ციან ხაო**

ქალაქი ჯიანძიაკოუ ზეიმით ეგებებოდა ახალ, 1946 წელს. ყველა დღესასწაულობდა და ხარობდა, მხოლოდ ერთი «ტანხულის»*) გამყიდველი გოგონა ხიდის მოაჯირს ჩასჭიდებოდა და მწარედ ტიროდა. იგი ცხრა წლისა იყო, სულ პატარა, და ნაღველს კი ასე დაეჩრდილა მისი სახე. გამვლელი შეჩერდა მის წინ, გაუღიმა. თანაგრძნობით გამოკითხა ყოველივე. გოგონაც ნდობით განიმსჭვალა რევოლუციის ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ამ უცხო ძიასადმი... შემდეგ უცნობმა იგი შიდამონღოლეთის სახალხო მთავრობის შენობაში წაიყვანა და იქ ქალებს ჩააბარა. საღამოს, დაბანილი, ჩაცმული, მზრუნველობითა და ალერსით გამთბარი გოგონა თავის უიღბლო ცხოვრებაზე მოუთხრობდა მათ:

ორი წლისა იყო მამა რომ მოუკვდა. დედა ცხოვრებამ აიძულა მეორედ გათხოვილიყო. მამინაცვალი გულქვა გამოდგა, სცემდა და აწამებდა გოგონას. დედამ ვერ აიტანა შვილის ტანჯვა და ერთ მოხუც ქალს მიაბარა. მაგრამ ომის არეულ დღეებში არც თუ ისე ადვილი იყო გოგონას შენახვა და დედაბერმა იგი ვინმე ცის მიუყვანა. მალე ცი ცოლთან ერთად ქალაქ ჯიანძიაკოუში გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ გოგონა შვიდი წლისა იყო და ოჯახის მთელი სიმძიმე მას დააწვა. ასრულებდა უფროსების ყოველგვარ დავალებას, რაგინდ მძიმეც არ უნდა ყოფილიყო იგი. ციმ თავის შვილობილად გამოაცხადა და მოსამსახურედ კი გაიხადა იგი. დედობილიც მკაცრი ხასიათის ქალი აღმოჩნდა, მცირე რამისთვის უმოწყალოდ სცემდა საგანგებოდ დამზადებული ჯოხით, რომელიც დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძისა იყო. ახლაც ამჩნევია გოგონას მისი კვალი.

1945 წელს რევოლუციურმა არმიამ, რომელსაც ულანფუ და სხვა ამხანაგები ხელმძღვანელობდნენ, გაანთავისუფლა ქალაქი ჯიანძიაკოუ. მამობილი ოპიუმის მწეველი იყო და შეშინდა, ვაი თუ სახალხო მთავრობამ დამსაჯოსო და სადღაც გაიპარა ცოლთან ერთად. გოგონას ახალი პატრონი გამოუჩნდა. იგი «ტანხულით» მოვაჭრე მეზობელმა ლიმ აიყვანა. გვარიც თავისი მისცა. ეს იყო მეოთხე გვარი, რომელიც გოგონას მიაკუთვნეს. სახელად კი უინბილიგი ერქვა.

იმ დროს შიდამონღოლეთის შუაგულში სილინგოლისა და ჩახარის აიმაკის გადაჭიმულ უდაბნოებში ბევრი უსახლკარო მონღოლი ბავშვი დაძრწოდა. რევოლუციური არმია თავს უყრიდა მათ და შიდამონღოლეთის ქ. ჯიანძიაკოუს ადმინისტრაციული კადრების ინსტიტუტში

---

*) ჯოხზე აცმული დაშაქრული ხმელი ხილი.

თითქოს ამაოდ. ეჭვი დამებადა — ნუთუ უსარგებლოა ჩემი მუყაითობა? შეიძლება ჯობდეს დავუბრუნდე ფაბრიკას.

ჩემი აზრები გავუზიარე უფროს ამხანაგებს, ისინი დამეხმარნენ აკვიატებული «უძლეურების» გადალახვაში...

— გიფიქრია კი შენ, თუ რისთვის გამოგგზავნეს სასწავლებლად პეკინში? შენ მოუტან სამშობლოს სარგებლობას არამარტო ცნობილი საკუთარი მეთოდით, შენ მოუტან ქვეყანას მეტ სარგებლობას სოციალისტურ მშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობით. როგორ გააქტიურებ შენს შემოქმედებით მოღვაწეობას თუ არ გინდა აიმაღლო კულტურული დონე?

გამახსენდა ჩემი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში 1952 წელს. მე იქ დავათვალიერე ქარხანა, სადაც ვრცელ საამქროში გრიალებდნენ უზარმაზარი მანქანები. მუშები იქ არ ჩანდნენ, მხოლოდ ერთ პატარა ოთახში შესვლისას შევნიშნე ისინი, რომლებიც ღილაკზე თითის დაჭერით მშვენივრად მართავდნენ ამ გიგანტებს. ასეთ სამუშაოებს ვერ შეასრულებს ტექნიკაში უმეცარი ადამიანი.

შემდეგ, მუშების საერთო საცხოვრებლების დათვალიერებისას, ვხედავდი წიგნებით სავსე თაროებს, უბრალო საბჭოთა მუშების უმრავლესობა დიდად განათლებული აღმოჩნდა. უწინ წერაკითხვის ბევრი უცოდინარი ახლა უკვე კვალიფიციური სპეციალისტია.

ამ მოგონებამ ჩემს მერყეობას ბოლო მოუღო. ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის სურვილმა, ჩემს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზულმა პერსპექტივებმა სწავლის დაუძლეველი სურვილი დაბადა — უნდა ავიღოთ მეცნიერების ციხე-სიმაგრე, — გადავწყვიტე მე.

მეცნიერების საფუძვლების დაუფლება არ იყო ადვილი, მხოლოდ უდიდესი მონდომების შედეგად გამოჩნდა პირველი წარმატებები, თანდათანობით მივიწევდი წინ, ჩემმა აკადემიურმა მოსწრებამ აიწია, და ბოლოს, მეცადინეობა ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში, ყოველი საგანი ჩემში დიდ ინტერესს იწვევდა... ჩემი ცნობიერების ჰორიზონტი საგრძნობლად იზრდებოდა.

შარშან ზაფხულში პარტიულმა ორგანიზაციამ სწავლის გასაგრძელებლად აღმოსავლეთ ჩინეთის საფეიქრო ინსტიტუტში გამაგზავნა. ამჟამად ჩემი ამოცანები გაცილებით გართულდა, მაგრამ აქაც პარტიის მზრუნველობა დამეხმარა და სიძნელეები ადვილად გადასალახი გახდა.

ინსტიტუტში მისვლისთანავე მე კურსის პარტიული ორგანიზაციის მდივნად ამირჩიეს, აქედან დაიწყო სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში.

...რამდენიმე თვის წინათ რთვის ახალი ჩქაროსნული მეთოდის შემმუშავებელ კომისიაში მივიღე მონაწილეობა, შემდეგ — შანდუნის პროვინციის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის მუშაობაში... მერე ისევ ინსტიტუტი, სწავლა და პარტიული მუშაობა. ასე გავხდი ახალგაზრდა რიგითი მქსოველი, სტუდენტი და პარტიულ-საზოგადოებრივი მუშაკი. მე მთლიანად შევუერთდი ჩემი ქვეყნის დიდი, სისხლსავსე ცხოვრების ფერხულს.

და ყოველივე ეს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ მაო ძე-დუნის მამობრივი მზრუნველობის შედეგია.

ახლა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ტემპები კოლოსალურად იზრდება და პარტიას ესაჭიროება მუშათა კლასის რიგებიდან გამოსული ინტელიგენციის ახალი კადრი, მე, როგორც კომუნისტი და სტუდენტი, განუყრელად გავყვები პარტიის მიერ მითითებულ გზას, ვიშრომებ თავდაუზოგავად, გავხდები წითელი კვალიფიციური სპეციალისტი — მშრომელი ინტელიგენტი, მთელ ჩემ ძალ-ღონეს შევალევ პარტიის დიად მიზნებს.



მიჰყავდა, სადაც სპეციალურად მათთვის იყო გახსნილი ცალკე დაწყებითი სასწავლებელი. უინბილიგმაც აქ დაიწყო სწავლა.

ეს იყო რევოლუციის მძიმე დღეები. გააფთრებით უტევდნენ გომინდანელები. ქალაქი ყოველდღე იბომბებოდა. მაგრამ მებრძოლებმა საგანგებო თავშესაფრები გათხარეს ბავშვებისთვის და განსაცდელისგან დაიფარეს ისინი. ევაკუაციის დროს რევოლუციურმა არმიამ თან წაიყვანა ბავშვები. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არაფერი მოუკლიათ მათთვის. მხოლოდ საშინელი ბრძოლების დროს მიმალეს პატარები მეჯოგეების სახლებში. როგორც კი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამხანაგმა ულანფუმ კვლავ თავი მოუყარა ბავშვებს და მიუხედავად სიძნელეებისა შიდამონღოლეთის აღმოსავლეთ ნაწილამდე მიიყვანა ისინი. აქ, ქალაქ ულან-ხოტში ბავშვები კვლავ შეუდგნენ მეცადინეობას, ხანდახან ამხანაგი ულანფუ ესტუმრებოდა ხოლმე მათ. 1952 წელს ბავშვები სასწავლებლად გადავიდნენ ხუნ-ხოტში და გზად პეკინში გაიარეს. იქ მათ ამხანაგი ულანფუ შეეგება. მას თვითეულის სახელი ახსოვდა...

და აი, ამ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბევრი მათ–განი სახალხო გამათავისუფლებელი არმიის ოფიცერი გახდა, ბევრი — სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურე, ზოგი დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლადაა. ზოგი მათგანი კი მაოტოუს, ტაიუანისა და სხვა ქალაქების მეტალურგიულ ქარხნებსა და საფეიქრო ფაბრიკებში წავიდა, ზოგიერთები კი უმაღლესი საწავლებლების სტუდენტები არიან.

ხოუხ-ხოტში მე შევხვდი უინბილიგს. ახლა იგი iI საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია. უინბილიგი კარგი სპორტსმენიცაა. 1955—1956 წლებში იგი იყო შიდამონღოლეთის ჩემპიონი ფიგურულ სრიალში, თამაშობს კალათბურთს და სხვ. უინბილიგი 23 წლისაა. ორი წლის წინათ მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თავის თანაკლასელ იუნ ცი-შენს და ბედნიერი ოჯახი შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნელი ლუ და-შენი

ყოველ დილით, როცა ჭონქაძის ქუჩაზე ჩამწკრივებულ ჭადრებს მზის სხივები მოეფინება, ქუჩაში, ხეების ქვეშ მოდიან ახალგაზრდა ქალი და ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა. ბიჭი ცელქია, არ ისვენებს, ტიტინებს, გზადაგზა აჩერებს დედას. დედა ეფერება, უალერსებს და აჩქარებს პატარას.

გაივლიან გრძელ ქუჩას, ჩრდილიან მოსახვევებს და საბავშვო ბაღის ჭიშკარში შევლენ.

კიბესთან ბიჭი მობრუნდება, დედას ჩაეხუტება და ეტყვის:

— ვო-ნაი-ნი, მუჩინ... მიყვარხარ, დედიკო..

ნელი... დიახ, ნელი ლუ და-შენი განსაკუთრებით ღელავს, როცა მისი პატარა ჩინურ ენაზე ეუბნება საალერსო სიტყვებს. ეს ბავშვს ბაბუამ ასწავლა, მოხუცმა ლუ და-შენმა.

ნელის მშობლიური ენა ქართულია. აქ დაიბადა, აქ გაიზარდა. დედაც ქართველი ჰყავს. საქართველო მისი სამშობლოა. მაგრამ მას აქვს მეორე სამშობლო, რომელიც არასოდეს არ უნახავს — დიდი ჩინეთი.

მერე რა ტკბილი თხრობა იცის მამამ — მოხუცმა ლუ და-შენმა...

ხარბინის პროვინცია... სოფელი ქო შენ-ტუნი... იქ ვრცელი ბრინჯის ყანებია და ტოტებდახრილი ლამაზი ხეები...

— ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა იძულებული ხარ შენს მიწას, შენს სამშობლოს გაექცე... სწორედ ასე დაემართა მამას, — ამბობს ნელი ლუ და-შენი, — მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა... მამამ რამდენიმე ამხანაგთან ერთად ჩინეთი დატოვა და რუსეთისკენ გამოიქცა...

რუსეთში მაშინ რევოლუცია იწყებოდა. ლუ და-შენი რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობდა. როცა მშვიდობა დამყარდა, რკინიგზაზე მუშაობდა... მერე საქართველოში ჩამოვიდა, ჭიათურაში დასახლდა და მამაპაპეულ ხელობას მიჰყო ხელი — ხის ავეჯს ამზადებდა. მისი დამზადებული ლამაზი ავეჯი ძალიან მოსწონდათ ჭიათურაში. ძმასავით შეიტკბეს საქართველოში პატიოსანი და შრომისმოყვარე ლუ და-შენი.

მოხუცი ლუ და-შენი კმაყოფილია. მისი ქალიშვილები კარგად გაიზარდნენ, ისწავლეს... ნელი გათხოვდა და ქართული ოჯახის რძალი გახდა. სიძე, დიმიტრი ვახანია, ინჟინერია, თბილისის ბეტონის ქარხანაში მუშაობს.

— მაინც მებრალება მამა, — ამბობს ნელი ლუ და-შენი, რომელსაც შავი, ოდნავ დახრილი ჩინური თვალები აქვს, ქართულად ლაპარაკობს და მამისაგან უსწავლია ჩინური ენა, დიდი ჩინეთის სიყვარული...

— თბილისში ცხოვრობს მამის მეგობარი კო ფონ-ლუ. მას სამი შვილი ჰყავს. ერთი ოდესაში სწავლობს, უმაღლეს სასწავლებელში, მეორემ საშუალო სკოლა დაამთავრა, მესამე უკვე გათხოვდა. როცა მამაჩემი თბილისში ჩამოდის, უმეტეს დროს მასთან ატარებს. სხედან და ჰუსაიფობენ... თან ჩინურ პელმენებს შეექცევიან... მე და ჩემი და კარგად ვქარგავთ. მამას ძალიან უხარია. დედაჩემი შესანიშნავად ქარგავდა. აი, ისე უნდა ისწავლოთ ქარგვა, გვეტყვის ხოლმე.

— 1949 წელს, ჩინეთი რომ განთავისუფლდა, მამამ წერილი გაგზავნა სამშობლოში. პასუხიც მიიღო. ძმა ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპვია. დისშვილები და ძმისშვილები უმაღლესში სწავლობენ... მამას უხარია... იგი უსათუოდ ნახავს ჩინეთს... ჩინეთის ნახვა ჩემი დიდი ოცნებაცაა... ჩვენ გვყავს ჩინელი მეგობრები. ამ ორი წლის წინ ჭიათურაში ჩინელი სტუდენტები ყოფილან პრაქტიკაზე. მამა შეხვედრია, სახლში წაუყვანია. აღარ ცილდებოდა თურმე. სტუდენტებს ძალიან შეუყვარდათ. ახლაც წერენ წერილებს...

— ერთხელ მე და მამა, როცა იგი თბილისში იყო, ბაღში შევედით, კიროვის ბაღში... ჩინელი კალათბურთელები იყვნენ ჩამოსული. შეგვხედეს და შემოგვეხვივნენ. უნდა გენახათ მამაჩემის სიხარული. წასვლამდე ხშირად გვნახულობდნენ...

ძვირფასო ნელი ლუ და-შენ! ჩვენ გვინდა ბედნიერი იყო. ჩვენ გვინდა ყოველ დილას მზის სხივებთან ერთად ბედნიერი გამოდიოდე გარეთ შენი პატარა შვილით. ჩვენ გვინდა ბედნიერი იყოს შენი ქვეყანა—დიდი ჩინეთი, რომლის სიყვარული გასწავლა მამამ. ჩვენ გვინდა მოხუცმა ლუ და-შენმა ნახოს თავისი სამშობლო. ჩვენ გვინდა მშვიდობისა და სიხარულის მზე ათბობდეს ადამიანებს შენს ორ სამშობლოში— ჩინეთსა და საქართველოში, მთელ მსოფლიოში!

**ლამარა კიკილაშვილი**

უძველეს წარსულში, სამი ათასი წლის წინ წარმოიშვა ჩინური დამწერლობა. აქედან მოკიდებული აღინუსხა უმდიდრესი ჩინური ლიტერატურა, რომლის ნიმუშები ათას და ათეულათას ტომებს შეადგენს.

საერთო აღიარება ჰპოვა ჩინურმა კლასიკურმა პოეზიამ, რომელშიც სრულყოფილად არის ასახული ხალხის თვითმყობადი გენია, ეროვნული ხასიათი, კონკრეტული, სპეციფიკური კოლორიტი ჩინეთის ყოფისა და ისტორიისა.

# ჩინური პოეზია





### მაო ძე-დუნი

## ახალი წელი

ნინხუა, ცინლიუ, გუიხუა,
ვიწრო გზა, ხავსი, ტყე, მაღლა ხეები.
საით მივდივართ, საით მივდივართ? —
რომ ვნახოთ უის მთის სანახები.
უის მთის ძირას, უის მთის ძირას
ქარში წითელი ბაირაღები
კოცონებივით ელავს და ბრწყინავს.

### ტიან ცზიანი

## ქედუხრელნი

მტრის ხმა: „თქვით, — თორემ დაგასამარებთ,
დენთი და ჭურვი სად გადამალეთ.
სად არის თქვენი დენთი და ჭურვი!"
[illegible] შეგვყრიათ [illegible],
[illegible], ბალღებო!
— აი, ამ გულში
მაქვს დამალული დენთი და ჭურვი!

### იუან ჯან-ცზი

## მდინარის სიმღერა

მდინარე ჯანხე, ფშანი და ლელი...
ნაპირთან ზვირთი ყელს მოიღერებს.
აქ ჩვენ სიმღერებს ვიტყვით და მერე
ჯანხეს ვასწავლით ჩვენ იმ სიმღერებს.
და ზღვისკენ წაიღენ ჯანხეს ზვირთები
თავისუფლების ქება-დიდებით!

### ვან ვე

## მეგობარს ველოდები

მზემ საღამურმა
დასავალზე დაიწყო ქრობა,
მორევების შუა
ტრამალები აივსო ბნელით.
ფიჭვების თავზე
მთვარემ წყნარი სიგრილე მოსდა
და სმენას აწვდომს
ნაკადულის ჩუხჩუხი ნელი.
ჩუმად დაიძრა
მეღამეების ნისლი გაღმიდან.
მიწყდა ჟღერაც
მგალობელთა წკრიალა ჰანგიც...
მე საღამოსთვის მეგობარმა
მოსვლა აღმითქვა, —
სუროს ფოთლებში ელოდება
მდუმარე ჩანგი.

### მენ ხაო ჟანი

## შემოდგომით მთაზე ავდივარ

მე — მეიშანის განდეგილი
ღრუბელთა შორის
მყუდრო ტაძარში
უმშვიდესი დღეებით ვიწყებ.
მთიდან — მეგობრის მოლოდინში
გავცქერი შორეთს
და ფრინველივით დანავარდობს
ეს გული ცის ქვეშ.
მე სევდა მიპყრობს უცნაური:
საღამოვდება,
მიხარის თანაც:
დაიწყნარდა ყრუ შემოგარე,
და აჰა, ვხედავ
სანაოსნოსთან ხალხი გროვდება,
რათა მდინარით გადავიდნენ
შორეულ მხარეს.
და მშვიდად ფშვენენ ჭალაკებში
გაღმა-გამოღმა,
იქვე, ნაპირთან ნავი მოჩანს
მთოვარის ნაგავსი...
ნეტავ შენ როდის შესცქერები,
როდის ამოსვალ,
ცვრიან საუბარში რომ ავწიოთ
ჭიქები სავსე.

### ლი ბო

## ნადიმზე

მე გთხოვ დალიე,
ღვინის არსმა იქამდ გვეყოფა.
მოღრიალდა ქარი
და შენ ფხიზელს დაჰცინის მწარედ.
შეხედე ხეებს,
ჩვენს ბევრისხმულ ნადიმ-მეგობართ,
აყვავებულნი ვით შვენიან
ამ არემარეს.
ჰა, ბუჩქნარებშიც
მოლაღური სიმღერას მღერავს,
ოქროს ფიალებს
ოქროსავით მთვარე დასცქერის,
გუშინ რომ დედის ძუძუს წოვდნენ
იმ ბალღებს — ხედავ,
დრომ როგორ უცებ გაუთეთრა
შავი თმაწვერი!
მიწამ შეჭამა
სასახლეთა რამდენი მდგმური,
გუშინ ხალხიან პალატებში
ირმები ძოვენ.
წარხდა დიდება მეფობისა,
დრომ უგო ფერი,
მათ სამყოფელში აწ სამკვიდრო
მინდვრებმა ჰპოვეს.
ჩვენც, მეგობარო,
ამ სოფელში ვინ დაგვაჩინოს?
წინაპართა ზეზე მოიგონე
და შესვი ღვინო!

თარგმნა თ. ჩხენკელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდი ხნის წინათ ჩინეთში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული მონადირე — მშვილდოსანი. ნადირობდა იგი ფრინველებზე, კურდღლებზე და მელიებზე. ხანდახან კი დათვებს, ტახებსა და ქურციკებსაც მოინადირებდა ხოლმე.

მონადირეს იმდენად უტყუარი მარჯვენა ჰქონდა, რომ არც კი უყურებდა მიზანს. გაფრენილ ქეიბურს ფიცხელი რაშით დაედევნებოდა, დაკოდილ ნადირს მხრებზე მოიგდებდა და შინისაკენ გასწევდა. მთელს ჩინეთში მისი ბადალი მშვილდოსანი არ მოიძებნებოდა. მხოლოდ მის მიერ გაწაფული ფინ მინი ეტოლებოდა ხოლმე თავის მასწავლებელს. და მაინც ფინ მინს არ შეეძლო მტრის ისართა კბილებით დაჭერა და გადატეხა.

და აი, ერთხელ ჩინეთს დიდი უბედურება დაატყდა თავს — ცაზე ათი მზე გამოჩნდა ერთბაშად. ათი მნათობი აცხუნებდა ქვეყანას დღითა და ღამით. ყანები გადახმა. მიწა გაირუჯა. პაპანაქებამ დააღრჩო კაცი და პირუტყვი.

მონადირე საგონებელში ჩავარდა. ფიქრობდა როგორ გამოეხსნა ქვეყანა განსაცდელისაგან. ბოლოს აიღო თავის უმაგრესი მშვილდი, მოჭიმა და ათივე ისარი რიგრიგობით გატყორცნა ისე სწრაფად, რომ კაცს ეგონებოდა ერთი გასროლა. მარაოსავით გაშლილი ისრები სტვენით მიარღვევდნენ ჰაერს და თვითეული თითო მზეს აქრობდა.

ასე შემუსრა მან ცხრა მნათობი. მეათე მზე შეშინდა და ლელიანს მიეფარა. ბნელმა მოიცვა დედამიწა უმალვე. შედრკა მშვილდოსანი, ინანა, ათივე მზე რატომ შევმუსრეო. ამასობაში უკანასკნელმა მნათობმა შიში დაძლია და ლელიანიდან ფრთხილად ამოიწვერა, მაგრამ თვალი მოჰკრა თუ არა მონადირეს, ჩაესვენა ისევ. მშვილდოსანს გაუხარდა ერთი მზე მაინც რომ გადარჩენილიყო, მოკრიბა ისრები, აიღო მშვილდი, რომელსაც ხალხმა «მზეთამმუსვრელი» უწოდა და თავის გზას გაუდგა.

ამბობენ, ამ ამბავმა მზე დააშინა, აღმოხდება, გამოანათებს ცოტახანს და ისევ ჩაიმალებაო, და იმასაც ამბობენ, სწორედ ამ დღიდან შეიქმნაო ქვეყანაზე დღე და ღამე, მწუხრი და ნათელი.




შორს, ჩინეთის დასავლეთით, უკაცრიელსა და უკიდეგანო უდაბნოში მარტოდმარტო ცხოვრობდა ერთი არწივი. მხოლოდ ქვიშა ჩანდა ირგვლივ, არ იყო არც ბუჩქი, არც წყარო.

ერთხელ ცის ლაჟვარდში მონავარდე არწივმა თვალი მიმოავლო დედამიწის ოთხივე მხარეს: აღმოსავლეთის უნაპირო, ცისფერ ზღვას, დაბურულსა და დუმილით გარინდებულ ჩრდილოეთის უღრან ტყეებს: ცისარტყელას შვიდივე ფერით მოელვარე დასავლეთის ცას, სამხრეთის საამურად მობიბინე ზურმუხტოვან ველებს და გაიფიქრა — რა ტიალი და უდაბურია ჩემი მშობლიური მხარე, რა კარგი იქნებოდა, აქაც რომ წყალუხვი მდინარეები მოედინებოდეს, აქაც რომ შრიალებდეს მშვენიერი წალკოტები. მოდი, ფერს ვუცვლი ჩემს მხარესო.

არწივი საქმეს შეუდგა, არ იშურებდა ძალღონეს, თავგამოდებით მუ-

შაობდა: აღმოსავლეთიდან ზღვის წყალი მოჰქონდა, სამხრეთიდან ტყეთა სიმწვანე...

ერთხელ, როდესაც მეტად დაქანცულმა ზღვას მიაღწია, ქვემოდან ხმა შემოესმა: აგრე დაღლილი ყოველ საღამოს საით მიიჩქარი, შეიცადე, დატკბი ჩემი გრილი ზღვაურით, ხოლო ღამე ჩემს ნაპირზე გამოქვაბულში გაათიე.

არწივმა უპასუხა: ნახვამდის, ხვალ დავბრუნდებიო, წაიღო წყალი და თვალს მიეფარა.

ჩრდილოეთის უღრანმა ტყემ ხმა მოაწვდინა: მალე შეღამდება, მეგობარო, სადღა მიეშურები. მხიარული ქვეშევრდომები მყავს—ცეკვით და გალობით გაგართობ, მესტუმრე, ჩრდილში დაისვენე, თვალის მოხუჭვას ვერ მოასწრებ, ტკბილი სიზმრები დაგესიზმრებაო.

არწივმა უპასუხა: ნახვამდის, ხვალ დავბრუნდებიო. ხის რტო ჩამოტეხა და თვალს მიეფარა.

დასავლეთის ცამ მშვიდად გაშალა თავისი ნაზი მკლავები და ჩურჩულით უთხრა არწივს: ჩემთან დარჩი, ერთად ავფრინდეთ ზეცის თავანზე და ნურასოდეს ნუ დავბრუნდებით ამ წუთისოფელში. არწივმა გვერდით ჩაუქროლა და ესღა მიუგო: ნახვამდის ჩემო, მართლაც და რა მშვენიერი ხარო.

სამხრეთის ველები ასე შეეხმიანენ: მხოლოდ წუთით რატომ გაიელვებ ჩვენს არემარეში და თვალს რატომ ეფარები ისევ? ჩვენთან იყავიო. არწივი მათაც გამოემშვიდობა: მალე გნახავთ, მალეო.

შინ რომ დაბრუნდა, ვერ დაიძინა, გაუტყდა ძილი, განვლილ დღეზე ჩაფიქრდა: ძნელ საქმეს მოვკიდე ხელი. ბოლო არ უჩანს, ვშიშობ, მაგრამ მტკიცეა ჩემგან დათქმული სიტყვა—ზღვის ტალღებსა და ტყეთა სიმწვანეს, დასავლეთის ცასა და სამხრეთის გაზაფხულს უდაბნოში გადმოვნერგავ. თუნდა დამცინონ—მე ჩემსას გავაკეთებ და ოდესმე მაინც ხრიოკ უდაბნოშიც იშრიალებს ტყე და იჩუხჩუხებს ანკარა წყარო. ფუჭიც რომ იყოს ჩემი ოცნება, ბედნიერებასა და სიხარულს მე მხოლოდ ასეთი შრომა მომანიჭებს.

და ყოველდღე, ოცნებისათვის რომ ხორცი შეესხა, იღწვოდა არწივი.

თარგმნა თ. ჩხენკელმა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოეტიუდი.

როცა პირდაპირ დგეხარ, შენი მრუდე ჩრდილის ნუ შეგეშინდება.

*

ყველაზე მაღალი კოშკიც მიწიდან იწყება.

*

როგორი წყურვილიც არ უნდა აღრჩობდეს ციურ ნამს დაჩვეულ ფრინველს, იგი არასოდეს არ დაეწაფება დედამიწის ჭუჭყიან წყალს.

*

ერთის ჭკუას ორის სჯობია ყოველთვის.

*

ბედნიერ ადამიანს არ ესმის რა არის ბედნიერება.

*

მწარე წამალი კურნავს, ტკბილი კბილებს აფუჭებს.

*

დიდ ხეს დიდი ჩრდილი აქვს.

*

ადამიანს ერთი სიცოცხლე ეძლევა, ბალახს ერთი შემოდგომა.

*

როცა კატა ტირის, თაგვები თანაგრძნობას უცხადებენ.

*

როცა წყალს სვამდე— გახსოვდეს წყარო.

*

ბრძენია ის, ვინც მდგომარეობაში ერკვევა.

# ჩინური ანდაზები

ერთი ძაღლი ჩრდილს შეუყეფს, ათასი—მის ყეფას აჰყვება.

*

სანამ წყალი არ დაგინახავს, ფეხზე ნუ იხდი.

*

ზრდილი ადამიანი თანამგზავრის ჩრდილს ფეხს არ დაადგამს.

*

არარაობად ყოფნას არყოფნა სჯობია.

*

ფრინველი არჩევს ხეს და არა ხე ფრინველს.

*

ლანძღე შენი თავი და არა მზე, შენმა ბაღმა რომ არ გაიხარა.

*

ის, ვინც ბუდას გამოსახულებას ძერწავს, არასოდეს არ ეთაყვანება მას.











# ჩინური თეატრი

ჩინელებს საოცარი თეატრი აქვთ. მისი კანონები და წესები ყალიბდებოდა უძველეს საუკუნეებში, როცა ხალხური თამაშობანი და სადღესასწაულო რიტუალები პირველად ილებდნენ სანახაობების სახეს, როცა ცეკვა, მიმიკა, სიმღერა-ლაპარაკი წარმოდგენაში ერთ კომპონენტად ერთიანდებოდა.

ყველა ჩინური სანახაობა, და მათ შორის თეატრი, საუკუნეების განმავლობაში განუყრელია მუსიკისაგან. სამი ათასი წლის წინ მუსიკის თეორეტიკოსებმა გამოიმუშავეს ჩინური მუსიკის ესთეტიკა და თეორია, ამაზე ადრე კი არსებობდა «იანგე»—სადღესასწაულო მსვლელობა ათასგვარი ჟანრებით: იანგე—არამელოდიური, მხოლოდ დოლის რიტმული მუსიკა; იანგე—სიმღერა და ცეკვა, მელოდიაში და რიტმში; იანგე—პანტომიმური, გამომსახველობითი პიესები ცეკვით, აკრობატიკა, რიტმული მუსიკის თანხლებით და სხვ.

ყველაფერი ამისგან შეიქმნა ჩინური კლასიკური თეატრი, რომელიც თავისი ფორმით, შინაარსითა და გამომსახველობითი ხერხებით მსოფლიოს თეატრალური ხელოვნების იშვიათობაა.

ჩინეთში არსებობს თეატრის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფორმა, ეს არის კლასიკური ოპერა. ასე უწოდებენ თეატრს, რომელიც ერთად აღებული ევროპული ოპერის, ბალეტის, ოპერეტის, დრამისა და კომედიის ყველა ძირითად ელემენტს შეიცავს. ამიტომაა, რომ ჩინურ თეატრს სინთეტურ თეატრად თვლიან. ჩინეთში კლასიკური ოპერის რამდენიმე სახე არსებობს: პეკინის, სიჩუანის, შაოსის, შანხაის... აქედან ყველაზე ახალი პეკინისაა, იგი მხოლოდ ორასი წელია არსებობს. თვითეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება მუსიკით, შესრულების მანერით, თემის დამუშავებით.

პეკინის თეატრის რეპერტუარში რამდენიმე ათეული პიესაა. ყველა პიესა სრულდება ერთი მელოდიით, სიჩუანის თეატრში მელოდია სხვაა, შაოსისაში—სხვა. ე. ი. კლასიკური ოპერის სხვადასხვა სახეს სხვადასხვანაირი მუსიკა აქვს ერთი და იგივე პიესისთვისაც კი. მაგრამ ერთ თეატრში ყველა პიესა ერთ მელოდიაზე სრულდება, მხოლოდ შეიძლება შემოკლდეს ან გაგრძელდეს არია და დიალოგის, ან პანტომიმური სცენის რიტმი პიესის შინაარსის მიხედვით.

ჩინურ ტრადიციულ თეატრში არ არის გუნდი, არც დუეტი... არის მხოლოდ ორნაირი სოლო: სიმღერა-მონოლოგი და სიმღერა-მოთხრობა, როცა მომღერალი რაიმე ამბავს გადმოსცემს. ვოკალური დიალოგი კუპლეტების მსგავსად სრულდება, ეს არის სიუჟეტური ლაპარაკი, რომელსაც აქვს კულმინაცია და კვანძი... მღერიან ფალცეტში, მუსიკა და სიმღერა ჩინური თეატრის ერთ-ერთი ელემენტია.

ჩინელი მსახიობი სიმღერის გარდა ფლობს ჩვეულებრივი სალაპარაკო ენის არაჩვეულებრივ მანერას, რიტმითა და განსაკუთრებული ინტონაციით, პანტომიმის მუნჯ ჟესტებს, ამავე დროს იგი უნდა იყოს აკრობატიც და მოცეკვავეც, რადგანაც როლის შესრულების დროს მას უხდება სიმღერაც, ცეკვაც, აკრობატული ნომრების შესრულებაც და სხვ.

ჩინელი მაყურებლისათვის, სადაც უნდა ესწრებოდეს იგი სპექტაკლს, ნაცნობია პიესის არა მარტო მუსიკა და შინაარსი, არამედ სახეების გახსნის ყოველი ნიუანსიც კი... ყველგან, ყველა თეატრში სახე ერთი და იგივეა—ახალგაზრდა ქალ-ვაჟის, კეთილი მოხუცის, ბოროტი ადამიანის... ეს ზოგადი, მონუმენტური სახეებია, რომლებისთვისაც ყველა სახის თეატრში გრიმიც ერთნაირი კეთდება. შავი წარბები და მოვარდისფერო სახე სილამაზის სიმბოლოა ქალისთვისაც და ვაჟისთვისაც. ბოროტი მოყვითალო ფერისაა, მოხუცი სიბერის ზოგადი ნაოჭებით აღინიშნება, კომიკს სახეზე თეთრი ზოლები აქვს...

ტრადიციულია კოსტიუმებიც. აქ ფერები ზღაპრულადაა შეხამებული: ყვითელი, ღია წითელი, ღია ცისფერი წმინდა აბრეშუმის ქსოვილისაგან დამზადებულ მსუბუქ კოსტიუმებს ცვლის შავი, მუქმწვანე და ოქროსფერ ტონებში გადაწყვეტილი მძიმე სამოსელი... კოსტიუმების ფერების მრავალფეროვნებაში გმირის საზოგადოებრივი მდგომარეობა გამოიხატება. ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ძვირფას აბრეშუმს ატარებს, მდიდარი თმაში ჩაბნეული თეთრი ყვავილით გამოირჩევა მხოლოდ.

ნაცნობია შინაარსი, ნაცნობია მუსიკა და სახეები, არაფერია ახალი გრიმში, კოსტიუმებში... ამასთან, ჩინურ თეატრში არ არის დეკორაციები. ისმება კითხვა: რა უნდა აინტერესებდეს თეატრში მაყურებელს?—მსახიობის ოსტატობა.

კლასიკური თეატრის მსახიობები იზრდებიან შვიდი-რვა წლის ასაკიდან. ცხრამეტი წლის ასაკში კი ისინი უკვე ფლობენ ყველაფერს, რაც საჭიროა ტრადიციული თეატრის მსახიობისათვის, მათ იციან თუ რა უნდა ითამაშონ მთელი თავიანთი აქტიორული ცხოვრების მანძილზე (მსახიობებს ზრდიან ამპლუების მიხედვით). ეს კიდევ ცოტაა. მათ შესწავლილი აქვთ ყოველი როლის ყოველი წვრილმანი, ლაპარაკიდან დაწყებული ხელის და თვალების უბრალო მოძრაობამდე. თანამედროვე ჩინელი მსახიობი ჩაის სვამს ან ხმალს ხმარობს ისე, როგორც ამას აკეთებდა ათასი წლის წინ ტანის დინასტიის დროინდელი რომელიმე მსახიობი. ამიტომ მსახიობის ოსტატობა, როლის შესრულების გამომსახველობითი სიზუსტე სპექტაკლის ინტერესის ამოსავალ წერტილად რჩება.

სპეციალისტების აზრით ჩინური თეატრის ემოციურ ძალას ვერ შეედრება ვერცერთი სახელგანთქმული ევროპული თეატრი.

ძნელია იმის წარმოდგენა, რომ უდეკორაციებოდ, პირობით სამყაროში მსახიობი აღწევდეს ისეთ მხატვრულ სიმართლეს, რომ ემოცია თანამედროვე სცენური ტექნიკით აღჭურვილ თეატრებში აღძრულ ემოციაზე ძლიერი იყოს. ძნელია, მაგრამ ფაქტია.

არ არის დეკორაცია, ამიტომ ერთ სურათში უამრავჯერ შეიძლება მოქმედების ადგილის, დროის შეცვლა; არ არის დეკორაცია, ამიტომ ჩინელ მსახიობებს არაფერი უშლით ხელს, გამოაღონ არარსებული კარი, გამოვიდნენ «ქუჩაში» და იქ განვითარდეს ახალი მოქმედება, როცა მისი მოსაუბრე «ოთახში» დარჩა და თავის მხრივ ისიც როლშია; არ არის დეკორაცია, ამიტომ ჩინური თეატრის მსახიობისათვის სულ იოლია ერთი კუთხიდან მეორემდე გავლაში გაიყვანოს არა რამდენიმე წამი, როგორც ეს ხდება ჩვენს თეატრში, არამედ რამდენიმე დღე, კვირა. არის ერთი პიესა «ტირიფის ჩრდილის ქვეშ»... ორი ახალგაზრდა სასწავლებლად მიდის, მათ მთები უნდა გადაიარონ. ამ მოგზაურობის დროს ირკვევა მათი დამოკიდებულება. ყველაფერი ეს ხდება ერთ სურათში. მსახიობები სცენის ერთი კუთხიდან იწყებენ და როცა მეორემდე მივლენ, მთები უკვე გადავლილი აქვთ. ამ მოკლე სცენურ დროში გმირების მთელი ცხოვრება გაირკვა, მაყურებლისთვისაც ეს მთების გადავლა იყო. არაჩვეულებრივი გამომსახველობითი ხერხებით მსახიობებმა შექმნეს მთებზე გადასვლის ილუზია. ასეთ მაღალ ოსტატობას ჩინელი მსახიობები დეტალების იშვიათი სიზუსტით, სტანისლავსკის «პატარა სიმართლით» აღწევენ. მსახიობები ცხენიდან ჩამოდიან, აღებენ კარებს, მიჰყავთ ნავი ისე, რომ არც ცხენია სადმე, არც კარი და არც მდინარე და ნავი. მაყურებელი მაინც არსად არ ცდება, მას აქვს სწორი ილუზია, ხედავს ცხენს, ნავს, მდინარეს...

კიდევ ერთი თავისებურება აქვს ჩინურ თეატრალურ ხელოვნებას. სცენაზე ხედავთ 16 წლის ქალიშვილს... ხმა, მიმიკა, გრაცია, აზიური სინატიფე... ხედავთ და ოცნებაში ულამაზესი მსახიობი ქალის სურათს ხატავთ. მერე გაიგებთ, რომ ქალიშვილის როლს ასრულებდა სამოცი წლის მამაკაცი. არის შემთხვევები, როცა ქალი ასრულებს მამაკაცის როლს.

და ყველაფერი—ხალხის მდიდარი ფანტაზიით შექმნილი პიესები, მრავალფეროვანი რიტმული მუსიკა და მდიდრული კოსტიუმები, იშვიათი სცენური გამომსახველი ფორმები, ტრადიციული თეატრალური მოძრაობები, როცა შინაარსი და რიტმი ისეთ ურთიერთკავშირშია, რომ მსახიობის არამარტო ხელის აქნევა, არამედ თვალების მოძრაობაც ისე ერწყმის რიტმს, რომ ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება—მუსიკალური ინსტრუმენტები კი არ უკეთებენ აკომპანიმენტს მსახიობს, არამედ თითქოს მსახიობის მოძრაობები გამოსცემენ მელოდიასო—ყველაფერი ეს ჰქმნის ნამდვილ თეატრალურ სანახაობას. ამდენად ჩინური თეატრი თეატრია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სამასი ათასი მომღერალი-მსახიობი და ორი ათასი თეატრი... აქედან თეატრების უმრავლესობა მოძრავია და სახალხო თეატრებად ითვლება—ასეთია დღეს ჩინეთის თეატრალური ცხოვრების სახე. ჩინეთში არის თანამედროვე ჩვეულებრივი ევროპული თეატრებიც, იდგმება ჩეხოვი, იბსენი, შილერი... მაგრამ ასეთი თეატრები ცოტაა და არც გაქანება აქვს. ძირითადია ჩინური კლასიკური ოპერა.



ეროვნული ბიბლიოთეკა











ძველი და თანამედროვე ჩინური ხელოვნების ნიმუშები







ჩინეთი მსოფლიოს ძველთაძველი ქვეყანაა. მის კულტურას ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩინეთის ხელოვნებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, რასაც ნათელყოფს ჩვენამდე მოღწეული მხატვრული და ისტორიული ძეგლები. ჩინელი ხალხის სახვითი ხელოვნებაც მეტად ორიგინალური და თავისთავადია. იგი განსაკუთრებით გამოირჩევა მდიდარი ფანტაზიითა და ფორმათა სიუხვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულხან-საბა ორბელიანი

მიმდინარე წლის ოქტომბერში ქართველი საზოგადოებრივობა აღნიშნავს გამოჩენილი მწერლის, მეცნიერის, განმანათლებლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავს. სულხანი წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა, თავის დროისთვის ღრმა განათლება მიიღო და სულ ახალგაზრდამ დიდ პატივს მიაღწია, «ერისაგანი იყო და წარჩინებული, და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო».

სულხან-საბა ორბელიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მხარს უჭერდა ეროვნული დინასტიის წარმომადგენელთ და შაჰის წარმომადგენელთა წინააღმდეგ გამოდიოდა. მე-17 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ბობოქარმა და ცვალებადმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ძლიერ იმოქმედეს მგრძნობიარე სულხანზე—1698 წელს ის ბერად აღიკვეცა და გარეჯის უდაბნოში განმარტოვდა (მაშინ მიიღო სახელი—საბა). მონასტრის კედლებში განათლებული მოწესე მგზნებარედ ქადაგებდა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა სჯულის გამყიდველებს, «გათათრებულ» რენეგატებს, ხარბ და გაუმაძღარ მედროვეებს, ფარისევლებსა და ზნეწამხდრებს. ის მოუწოდებდა მსმენელებს (და მკითხველებსაც) მტკიცედ დაეცვათ ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მრწამსი, ერთგულად და თავდადებით ემსახურათ თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნისათვის.

მაგრამ განდეგილის სავანემ დიდხანს ვერ დააკავა მგზნებარე საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი. 1703 წელს, როდესაც მისი აღზრდილი, განათლებული და ჰუმანური ვახტანგ მეექვსე ტახტზე ავიდა, საბა დაუბრუნდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებათა სულისჩამდგმელი გახდა. 1712 წელს ვახტანგი ირანში დაიბარეს, ურჩობისათვის ხელისუფლება ჩამოართვეს და გადაასახლეს. მეფის საიდუმლო დავალებით სულხან-საბა დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება (1713-1716 წ. წ.). რამდენჯერმე წარუდგა სულხან-საბა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს და რომის პაპს, ამცნო მათ საქართველოს ბედუკუღმართობა და დახმარებას შეევედრა. ქართველი დიპლომატის თხოვნას წარმატება არ ჰქონია, მან მხოლოდ მეფის უგულო თანაგრძნობა და კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ფარისევლური ლოცვა-კურთხევა მიიღო. მაგრამ ეს კია, რომ ქართულმა ლიტერატურამ დოკუმენტური მხატვრული პროზის შესანიშნავი ძეგლი შეიძინა—სულხან-საბას «მოგზაურობა ევროპაში».

ევროპაში საბამ დიდებული არქიტექტურული ნაგებობანი ნახა, მდიდარი და ბრწყინვალე ვერსალი, პარიზი, რომი, ფლორენცია და საფრანგეთისა და იტალიის სხვა დიდი ქალაქები. როცა ყველაფერ ამას სულხან-საბა მტრისაგან გავერანებულ თავის ქვეყანას ადარებდა, მწარედ აღნიშნავდა: «ღმერთმა ქმნას, ჩემს ქვეყანას, ჩემს უკან უკეთესობა შეჰქმნოდეს».

სამხრეთ ევროპის მოედნებზე და ბაზრებზე სულხან-საბა თავის თანამემამულეებს, ოსმალთაგან გატაცებულ ტყვეებს ხვდებოდა და რისხვითა და აღშფოთებით შეჰქონდა დღიურში ეს მტანჯველი შეხვედრები.

მგზავრობის სიძნელეებმა, თურქი მეკობრეების ძალმომრეობამ, დიპლომატიურმა წარუმატებლობამ, ავადმყოფობამ და სხვა განსაცდელმა სულიერად და ფიზიკურად გატეხა სულხან-საბა. წინ კიდევ დიდი უსიამოვნება ელოდებოდა: ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებმა და ფეოდალთა რეაქციულმა ნაწილმა სულხან-საბას მწვალებლობა (კათოლიკობის მიმდევრობა) დაწამეს და დევნა დაუწყეს. მხოლოდ ვახტანგის მფარველობამ იხსნა ის დაღუპვისაგან.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა მტკიცედ დადგა რუსული ორიენტაციის პოზიციებზე, 1724 წელს ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვა, გადალახა კავკასიონი, წმინდა ჯვრის სიმაგრემდე მიაღწია და იქიდან თავისი პატრონის დავალებით სასწრაფოდ მოსკოვს გაემგზავრა. მაგრამ ასეთი დაძაბვა ვერ აიტანა და 1725 წლის 26 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა.

დიდია სულხან-საბა ორბელიანის, როგორც სწავლული ლექსიკოგრაფის, დამსახურება. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ის ბეჯითად მუშაობდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენისა და სრულყოფისათვის. ორბელიანის ლექსიკონი დღესაც სწორუპოვარი ნიმუშია, სამაგიდო წიგნია, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სულხან-საბას მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი «სიბრძნე სიცრუისა», დამრიგებლობითი იგავების, პარაბოლებისა და სხვა მოკლე ნოველების კრებული, რომელთაც საერთო ფაბულის ქარგა აერთიანებს.

«სიბრძნე სიცრუისაში» განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ორბელიანის განმანათლებლური იდეები, მისი რწმენა გონებისა და ცოდნის ყოვლისშემძლეობაში. მწერალი ფიქრობს, რომ უმეცრება არის საზოგადოებრივი ბოროტების პირველი მიზეზი, და მოზარდის ნორმალური გონებრივი და ფიზიკური განვითარების აუცილებელ პირობად მას ფიზიკური აღზრდა მიაჩნია. ამიტომ ქადაგებს ბავშვის აღზრდას შრომისა და ფიზიკური წრთობის პრინციპებზე. გაზიზება და განებივრება, სულხან-საბას აზრით, სიზარმაცესა და უქმად ყოფნას აჩვევს მოზარდს, უჩლუნგებს გონებას, მორალურად ამახინჯებს, უვითარებს ბოროტსა და ეგოისტურ ვნებებს, უნებისყოფობასა და სისასტიკეს. ადამიანი რომ იყოს ამტანი და მომთმენი, მაღალზნეობრივი და ჰუმანური, თავისი ხალხის მოყვარული და მისთვის მზრუნველი, ამისათვის უსათუოდ უნდა გაიაროს მშრომელი კაცის მძიმე ცხოვრება.

«სიბრძნე სიცრუისა» ამხელს ფეოდალური საზოგადოების ზნეობრივ სიმახინჯეს, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ულმობელობას, კიცხავს გულქვა მეფე-ტირანებს, რომელთა დანაშაულებრივ ხელებშია ხშირად ხალხის ბედ-იღბალი. სულხან-საბას სწამს მძლავრი, ერთიანი «განათლებული» მონარქია, რომელსაც სათავეში მეფე უდგას, იგი გამოდის ფეოდალური საზოგადოების შინათაშლილობის წინააღმდეგ. შუღლი და ქიშპი მიაჩნია საბას ქვეყნის უბედურების ძირითად მიზეზად. «ძალა ერთობაშია»,—გვასწავლის სულხან-საბა («ძალა ერთობაშია»). ის არ ინდობს ვერაგსა და მლიქვნელ კარისკაცებს, ამხელს მოძალადეებს, მექრთამეებსა და ქარაფშუტა მოსამართლეებს, მუხანათსა და ანგარებიან შუამავლებს, საზიზღარ ცრუმოწმეებს, ცილისმწამებლებს, მაბეზღარებს და მისთანებს, კილავს ვაჭრებს, მევახშეებს მათი ანგარების, ძალაობის, უკანონობის გამო. სულხან-საბას სააშკარაოზე გამოაქვს სასულიერო წოდების ზნეობრივად დაცემა, ფარისევლობა და ქედმაღლობა.

მწერალი ალეგორიულად ხატავს გვიანი ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პირქუშ სურათს. მაგრამ დასცინის რა სოციალურ და ზნეობრივ მანკს, მწერალი დიდ სიყვარულს და მზრუნველობას ამჟღავნებს ადამიანისადმი, სწამს თავისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალი. «სიბრძნე სიცრუისა» გამსჭვალულია სიცოცხლის ხალისით და ბოროტზე კეთილის გამარჯვების ოპტიმისტური იდეით. ეს ყველაფერი მოცემულია მაღალმხატვრულ ფორმაში. კრებულის ენა ჭეშმარიტად ხალხურია, ხალხური—სასაუბრო, უბრალო, მოსწრებული, ხატოვანი, მკვეთრად გამოვლენილი იუმორით, რომელიც ზოგჯერ სარკაზმშიც გადადის.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ სულხან-საბას ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებზე, როგორიცაა «სწავლანი» და «მოგზაურობა ევროპაში», ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ: ორბელიანმა დიდი გულმოდგინეობით დაამუშავა ვახტანგ მეექვსის მიერ სიტყვა-სიტყვით ნათარგმანი «ქილილა და დამანას» პროზაული ნაწილი და შესანიშნავად გააწყო ლექსები. სულხან-საბა ორბელიანი ქართული პოეტური კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელია, ლექსთწყობის დარგში თამამი ნოვატორი და მაღალნიჭიერი პოეტი. «ვეფხისტყაოსნის» შემდეგ სულხან-საბას შემოქმედება არის ახალი საფეხური ქართული რაფსოდიის განვითარებაში. სწორედ «ქილილა და დამანას» დამუშავებაში გამოჩნდა სულხან-საბას, როგორც პოეტის, უზადო ნიჭი. ის არამარტო ქართული მხატვრული პროზის ოსტატია, არამედ ქართული ლექსის დიდი ოსტატიც. სულხან-საბა ძველი საქართველოს ერთ-ერთი ნათელი სახეა. ამიტომ უწოდებდნენ მას თანამედროვენი «მთელი საქართველოს მამას».

პროფესორი **ალ. ბარამიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



წავიდა იმედიანი, შემოიარა ევროპა სულხან-საბა ორბელიანმა. დაბრუნდა დაღონებული, თანაგრძნობის მეტი ვერა ჰპოვა რა...

მოსთქვამდა «ქართლის ჭირზე» დავით გურამიშვილი, მაგრამ ვერას გახდა... საბას აღზრდილმა მეფე ვახტანგ მეექვსემ კი იცოდა, რომ იქ, ჩრდილოეთს, ერთმორწმუნე რუს ხალხთან იყო საქართველოს ხსნა

მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

# სულხან-საბა ორბელიანი



მხატვარი ლ. შენგელია

## ს ა მ ნ ი ძ მ ა ნ ი

სამნი ძმანი იყვნენ. ორნი ბოროტნი და ხარბნი და ერთი მართალი და ღვთისმოსავი. გაიყარნენ. ავნი ძმანი ერთად დადგნენ, კარგი ძმა ცალკერძ გააძეს.[1] წავიდა კარგი ძმა; ნახა ერთ ალაგს ერთი დიდი ქილა ფლური[2]). ერთპირობად ვერ ზიდა. წამოვიდა შინ. მას ღამესა ცოლს უთხრა:—ამა და ამ ალაგს ქილით ფლური ვნახე და ხვალ წავალ, სახედარს წავიყვან და ერთპირად მოვიტანო.—თურმე ძმანი ერდოდამ უმზერდნენ, დახარბდნენ და მასვე ღამეს წავიდნენ ლამპრითა, ხვალ ჩვენმან ძმამ არ დაგვასწრასო. მივიდნენ, ნახეს ქილა სრულობით გველითა და ღრიანკლით[3]) სავსე ეჩვენათ. მათ ძმათა ესრე თქვეს:—ჩვენმან ძმამ გვიღალატა. ეს უნდოდა ჩვენთვის ესმენინა, მოვსრულვიყავით, დაგვენახა და ეკბინათ, თვარა რა ჩვენს მზერაში თქვა იგი ამბავიო,

პირს მაგრა მოაკრეს ორთავ ძმათ, აიკიდეს, ესრეთ თქვეს:—მას ჩვენს ძმას ჩვენი სიკვდილი უნდოდა და ჩვენ ცოლშვილით დავხოცოთო.—წაიღეს ქილა და ბანიდან ჩაუგდეს. თქვეს:—ქილა შეიმუსვრის, გველი და ღრიანკალი სახლს მოიცავს და ყველაყას დახოცსო.—მივიდნენ და ჩაუგდეს. მეორეს დღეს გაეღვიძა მას, მართალს ძმას, ნახა, გუშინდელი ფლურები სახლში უყრია. მათ ძმათ მისი წახდენა მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ფლურები შინ გაურჯელად მიუტანა.

---

[1] გააძეს—გააძევეს.

[2] ფლური—ოქროს ფული.

[3] ღრიანკალი—მორიელი.

## ე ნ ი თ დ ა კ ო დ ი ლ ი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა და მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის. მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა:—პირმყრალ სტუმარს ვერ ვეწყობიო!—წავიდა დათვი და მერე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო:—მით შეშას დავკოდ და წამოვიღებო! მოვიდა დათვი და რაც იმათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმა დაუჟინა:—თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!—მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა. მეორეს თვეს შეიყარნენ, დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა:—ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი კი გამიმთელდა, და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არათ.

## ო რ ნ ი ძ მ ა ნ ი

ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლშვილი ჰყვა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ვეღარ დადგნენ. ყოველივე გაიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ორმო კალოს აქეთ იყო და მეორისა იქით. უხუცესი მოიპარვებდის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაყრიდის და იტყოდის:– მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან. მას ძმას არა რა ჰყვას. ესე მისი იყოს და მან ჭამოს.— და იგი უმრწემესი ძმა მოიპარვებდის თავის ორმოდამ და უხუცესისაში ჩაყრიდის:— მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ ადვილ არს; იგი, ძმა ჩემი, წვრილშვილი არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს.— ეგრე დაჰყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ.

მადლისა და კეთილის საქმე ღვთისაგან განმრავლდებისო.

## მღმერთობელ მეფე და მისი ვაზირი

იყო ერთი მეფე, ღმრთობას ჩემულობდა და ვერც ვერავინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო. ერთი ჭკვიანი და კარგი ვაზირი ჰყვა. მან მოახსენა:—რადგან შენ ღმერთი ხარ, მაშა მე შენი ანგელოზობა მიბოძეო!— უბოძა მან ღმერთმან თავისი ანგელოზობა. გამოხდა ხანი. უბრძანა მან ღმერთმან მას ანგელოზსა:—მოდი, სასწაული ვქმნათო!—მისმან ანგელოზმან მოახსენა:—თუ მისმენ, უცხოსა და კარგ სასწაულს გაქნევინებო.— დაუჯერა. დააცლევინა სახლები მეფისა, სრულად ნეხვითა და ცხოვართა და ზროხათა ფაშვითა აავსებინა. გამოხშა[1]) კარი. ზაფხულის ჟამი იყო. ათი დღე დაიყოვნა. მეათერთმეტე დღეს მივიდნენ:—ჩვენი ნაქმარი სასწაული ვნახოთო!—დააღეს კარები, ნახეს: სულ მატლი, ჭია და ფუნდურა[2]) დაჰხვეოდა და დია აყროლებულიყო. მეფემან უთხრა ვაზირსა:—ეს რა გვარი სასწაულიაო?—ვაზირმან მოახსენა:—შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვივაო!



---

[1]. გამოხშა—გამოხურა, გამოკეტა.

[2]. ფუნდურა—ნეხვის ჭია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

DDR

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
ათი წელი

# ანა ზეგერსი



გამოჩენილი გერმანელი მწერალი ქალის, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის ანა ზეგერსის (ნეტა რაილინგის) ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის მშრომელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლებთან. «მეთევზეთა აჯანყება», «თანამგზავრები», «დაფასებული თავი», «გადარჩენა», «მეშვიდე ჯვარი», «მიცვალებულნი ახალგაზრდები რჩებიან» და ბევრი სხვა შესანიშნავი ნაწარმოები ეკუთვნის მის კალამს.

გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის მოსპობამდე ანა ზეგერსი თითქმის სულ ემიგრაციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ თავისი შემოქმედებით მაინც მუდამ გვერდში ედგა თავის ხალხს და დაუღალავად იბრძოდა ჰიტლერული ნაცისტებისა და გერმანელი ხალხის სხვა მოღალატეების წინააღმდეგ. თავის ნაწარმოებებში ანა ზეგერსი მკაცრი პირდაპირობით წარმოგვიდგენს გერმანიის ისტორიის ამ შავბნელი პერიოდის სინამდვილეს. მისი გმირები, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ადამიანურ ღირსებებს და საბრძოლო სულისკვეთებას ინარჩუნებენ.

ზეგერსის მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ შრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემას. მისი აზრით, დღეს ყოველი მწერლის წინაშე ისმის ერთი უმთავრესი საკითხი: რა გააკეთა მან მშვიდობისათვის. მწერლის წვლილი მშვიდობის საქმეში არ ამოიწურება მხოლოდ მოხსენებებით, სტატიებით, კონგრესზე მონაწილეობით, მოწოდებაზე ხელის მოწერით. მწერალმა მხატვრულ სახეებში უნდა წარმოადგინოს მშვიდობის კონგრესთა ძირითადი მიზანი. ანა ზეგერსის ნაწარმოებები გაჟღენთილია რევოლუციური ინტერნაციონალიზმის იდეებით. მწერალი ქალი თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტია, კარგად იცნობს თავის ხალხს და აგრძელებს მისი კულტურის საუკეთესო ტრადიციებს.

უკანასკნელ წლებში ანა ზეგერსის ნაწარმოებები ითარგმნა ქართულ ენაზეც. ჩვენი მკითხველი ჯერ კიდევ 1955 წელს გაეცნო მის მოთხრობებსა და ნოველებს. 1958 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ანა ზეგერსის ერთერთი უმნიშვნელოვანესი რომანი «მიცვალებულნი ახალგაზრდები რჩებიან». ამ ნაწარმოებში შესანიშნავადაა ნაჩვენები ჰიტლერის დიქტატურის კლასობრივი არსი და გერმანელი ანტიფაშისტების რევოლუციური ბრძოლა.

ანა ზეგერსმა შესძლო კონკრეტულად ეჩვენებინა, რომ გერმანელი კომუნისტების ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია და რომ ხანგრძლივმა ტერორმა და დევნამ ვერ მოსპო გერმანიის პროლეტარიატის საბრძოლო ტრადიციები.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ანა ზეგერსს იცნობს არა მხოლოდ როგორც მწერალს, არამედ როგორც მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის აქტიურად მებრძოლ საზოგადო მოღვაწესაც. ა. ზეგერსი გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ერთერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო მუშაკია. იგი მონაწილეობს კულტურბუნდის მრავალათასიანი ორგანიზაციის მუშაობაში და ამავე დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ერთერთი ხელმძღვანელთაგანია.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა და გერმანელი ხალხი დიდად აფასებენ ანა ზეგერსის მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობას. 1947 წელს ღვაწლმოსილ მებრძოლ მწერალ ქალს ბიუნხერის სახელობის პრემია მიენიჭა. 1950 წელს გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს, ამასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მუშაობაში. 1951 წელს ანა ზეგერსის დიდი დამსახურება ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საერთაშორისო პრემიით აღინიშნა. ა. ზეგერსი დღესაც ახალგაზრდული გატაცებით იღწვის მშვიდობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის.

**შ. შათირიშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვანდა და მისი შვილები

ბერტა ლასკი

მხატვარი ი. ბედელაძე

გერმანელი მწერალი ქალის ბერტა ლასკის პირველი ნაწარმოებები XX საუკუნის ოციან წლებში გამოქვეყნდა.

როცა ჰიტლერმა ხელისუფლება ხელთ ჩაიგდო. ბერტა ლასკს, როგორც კომუნისტური პარტიის წევრს, დაპატიმრება ემუქრებოდა. ამიტომ მან დასტოვა გერმანია და საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა ჩვენი ქვეყანა. აქ მან ოცი წელი დაჰყო. უმეტესად მოსკოვში ცხოვრობდა. თავის ნაწარმოებებს ხშირად აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში, ამავე დროს მუშაობდა ვრცელ რომანზე «სიწყნარე და ქარიშხალი», რომელაც დაიბეჭდა 1953 წელს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი დაბრუნების შემდეგ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ბერტა ლასკის მოთხრობას «ვანდა და მისი შვილები».

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

სამუშაო დღე დამთავრდა და ვანდა შინისაკენ გაემართა. მთელი დღის მუშაობისა და საქსოვი საამქროს დახშული ჰაერისაგან თავი დამძიმებოდა. გარეთაც სულ არ იძვროდა ნიავი. ჭაობის შმორიანი სუნი იდგა ირგვლივ.

სახლს მიუახლოვდა. რატომ არ მორბის კეტხენი მის შესახვედრად?

მისი ბარაკის წინ ხალხი შეგროვილიყო. ღმერთო ჩემო, რაშია საქმე? სად არიან ბავშვები? ვანდას შიშისაგან მოძრაობის უნარი წაერთვა, ფეხები დაუმძიმდა. ჩქარა, ჩქარა! ძლივს მოიკრიფა ძალა, რომ ბარაკამდე მიეღწია. ხალხი სულ ახლახან რომ ხმამაღლა ჩოჩქოლებდა, დაჩუმდა. ვანდა ფართოდ გახელილი, შეშინებული თვალებით მიაჩერდა მათ უტყვ სახეებს.

შემდეგ ორმა ქალმა ერთად დაიწყო მოყოლა და ერთმანეთს არ აცლიდნენ: ნაშუადღევს ვანდას ბარაკთან დახურული მანქანა გაჩერდაო. შემდეგ გოგონებს ყვირილი აუტეხიათ: «დედა! გვიშველეთ! დედა!—და სანამ რაიმე ღონეს იხმარდნენ, თურმე, მინებზე შავფარდებჩამოფარებულ მანქანას ჩაუქროლია. ვიღაც ჭაბუკი ველოსიპედით დადევნებია, მაგრამ მალე უკან დაბრუნებულა, მანქანას მაინც ვერ დაეწეოდა. იგი საშინელი სისწრაფით მიქროდა ქალაქის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ვანდა ქალაქში გაიქცა, პოლიციაში. პოლიციის ოფიცერმა გულგრილად მოუსმინა და უხეშად მიახალა: «ალბათ. ბავშვთა მეთვალყურეობის საზოგადოებამ წაიყვანა შენი შვილები. რა არის აქ გაუგებარი. შენ დილიდან საღამომდე სამსახურში ხარ და ბავშვები კი საერთო საცხოვრებელში მარტო გყავს მიტოვებული. თვითონ მშობლები ხართ დამნაშავენი».

ვანდა დაბნეული, აღელვებული გავიდა ქუჩაში. ბინდდებოდა. იგი ნელა გაუდგა გზას თავისი ცარიელი ბინისაკენ. ლასლასით მივიდა შინ, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ნაღვლიანი თვალები მიაპყრო წყვდიადს. აზროვნების უნარი დაჰკარგოდა. რაღაც ღრღნიდა და ხმაურობდა თავში. ნაშუაღამევს ძილი მოერია, ქუთუთოები დაუმძიმდა და მიეძინა. ძილმა თან ჩაიყოლა მისი უბედურება. და მოეჩვენა, რომ უსასრულო გზას ადგია. მიდის სადღაც შორს, წინ კი მისი შვილების ორი აჩრდილი ჩანს. ვანდას უნდა დაეწიოს მათ. მიდის, მაგრამ მანძილი არ მცირდება, გაქცევას დააპირებს და ფეხები არ ემორჩილება.

დააკაკუნეს. ვანდა კარისკენ გაიქცა. იქნებ ბავშვები მოვიდნენ! არა, ეს მისი და იყო.

დილით ქარხანაში წავიდა. განა შეეძლო მუშაობა? მაგრამ ბავშვების მოსაძებნად ფული იყო საჭირო. ფიქრისგან თავი უსკდებოდა.

უსასრულოდ მოეჩვენა ეს სამუშაო დღე. გონების თვალით ჩხრეკდა ქუჩებსა და სახლებს. ბორგავდა, თითქოს საქსოვი საამქროს ფოლადის გალიაში მომწყვდეულა და თავი ვერ დაუხსნიაო.

როგორც იქნა სამუშაო დღე დამთავრდა. ვანდა კვლავ პოლიციაში წავიდა. იქ გრძელი ოქმი დაახვედრეს და უთხრეს, რომ ბარაკის მცხოვრებლების მიერ აღწერილი მანქანა ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ. ვერსად აღმოვაჩინეთ, მხოლოდ ახალგაზრდობაზე ზრუნვის კომიტეტისათვის არ მიგვიმართავსო.

ვანდა კომიტეტში გაიქცა.

ძლივს მიუსწრო, მუშაობა დაემთავრებინათ და სახლში მიდიოდნენ.

ვანდამ ჭაღარათმიანი ქალი შეაჩერა. ქალმა ცერემონიულად მოირგო წვეტიან ცხვირზე სათვალე, ქაღალდები გადაქექა და ბოლოს მიაგნო რასაც ეძებდა.

— აქ სწერია: ექვსი თვის წინათ უმუშევარმა პაულ ვილდბახმა განცხადება შემოიტანა, რომ მისი ქალიშვილები: ანა და კატერინა დედისათვის მოეშორებინათ. დედა ცუდი ყოფაქცევის ქალია და მათი აღზრდა არ შეუძლიაო.

უცებ ვანდას თითქოს შემოესმა თავისი ლოთი ქმრის ლანძღვა-გინება, სამზარეულოში რომ დააჩოქებდა ხოლმე და სცემდა. ღმერთო ჩემო! როგორ ჰგავდა იგი დიდ შავ ღამურას.

— ცრუ, ლოთი, არამზადა! — იყვირა ვანდამ, — განა მას ოდესმე უზრუნია ბავშვებისათვის? მაშ, მან წაიყვანა ისინი? მას მისცეს ისინი?»

— არა,—უპასუხა გრძელცხვირამ,—მან მხოლოდ განცხადება შემოიტანა. ჩვენ კი საქმე კათოლიკურ საქველმოქმედო საზოგადოებას გადავეცით, რომელიც ამგვარი საქმეებითაა დაინტერესებული.



მღელვარების მიუხედავად, ვანდას წონასწორობა არ დაუკარგავს. მან საქველმოქმედო საზოგადოების სახელწოდება და მისამართი იკითხა.

— საბუთები თანა გაქვთ?

— არა. — ვანდას საბუთები თან არ წამოუღია.

— არაფრის თქმა აღარ შემიძლია. ხვალ მოდით და თან საბუთები მოიტანეთ. მაშინ უფლება მექნება გითხრათ საზოგადოების სახელწოდება.

— უფლება გექნებათ! ჩემი შვილების წართმევის უფლება კი გქონდათ? — ვანდა საკუთარმა ხმამ გამოარკვია. სკამი იატაკზე დაანარცხა და აქვითინებული გაემართა კარებისაკენ.

— დამშვიდდით, — მიაძახა გრძელცხვირა ქალმა, — ხვალ შემოიარეთ. არა, ხვალ არა. ხვალ საეკლესიო დღესასწაულია და არ ვმუშაობთ, ესე იგი ზეგ.

ვანდა შინისაკენ წალასლასდა, მოაგონდა გასულ წელს ქარხნის დირექტორის მეუღლეს ოქროს მანიაკი რომ დაეკარგა, პოლიციამ მაშინვე დაიწყო გამოძიება და ქურდი სწრაფად იპოვეს.

ეჰ, ვის ეცალა მისთვის!

საერთო საცხოვრებელში ერთმა მეზობელმა უთხრა ვანდას: — გამიგონე, ფრაუ ვილდბახ, შარშან მოხუც მიულერს შვილიშვილი დაეკარგა, ბევრი ეძებეს და დიუსელდორფში იპოვეს. ბავშვები წმინდა ვინცენტის ეკლესიაში მიჰყავთ, თურმე. წადი, დიუსელდორფში მონახე.

მეორე დილით ვანდა დიუსელდორფს გაემგზავრა. იქ დღესასწაულის გამო ყველაფერი დაკეტილი დახვდა. ვანდას ადრე ბევრჯერ უფიქრია, როგორმე ჩაეყვანა ბავშვები დიუსელდორფში, დაეთვალიერებინა ქალაქი, მაგრამ სად იყო საამისო ფული. თითქოს რაღაცამ ყელში მოუჭირა და აღრჩობდა. ტუჩზე იკბინა. მიმოიხედა და წავიდა. მიდიოდა, ვიდრე ღარიბთა ქოხები არ გამოჩნდა. შემდეგ წითელი აგურებით გარშემოვლებული მაღალი კედელი დაინახა: ეკლესია.

ვანდამ დარეკა, მღელვარებისაგან გული ისე უცემდა, თითქოს ამოვარდნას ლამობსო. ეკლესიიდან ვიღაც გამოვიდა და ნელი ნაბიჯით გამოემართა ალაყაფისაკენ. მას თეთრი ფარფლებიანი ჩაჩი ეხურა, რაც საოცრად ამგვანებდა ფრინველს, ფერმკრთალი სახე და გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა. შუასაუკუნოვან, ნაოჭიან კაბის ქამარზე დიდი ყავისფერი ყვავილების კონა ეკიდა. ვანდამ ჰკითხა შეიძლება თუ არაო წინამძღვრის ნახვა. წინამძღვარი ეკლესიაშია და ღვთისმსახურება კი ერთ საათს გასტანსო, — მიუგო ქალმა. მონაზონი განცვიფრებული, გამკიცხავი თვალებით უყურებდა ვანდას. როგორ შეიძლებოდა დღეს ვინმე ეკლესიაში არ ყოფილიყო.

ვანდამ სთხოვა შეეშვათ. მას სურდა წინამძღვარს დალოდებოდა. იგი ვიწრო დერეფნით პატარა მოსაცდელში შეიყვანეს, სადაც ორი უცნობი იჯდა და იცდიდა. მონაზონმა ხელში აიღო ყვავილების კონა და ლოცვების ბუტბუტი დაიწყო. დროდადრო იქ მყოფთ გაესაუბრებოდა ხოლმე, რამდენჯერმე ვანდასთანაც მივიდა და რამდენიმე ფრთხილი შეკითხვა მისცა. ვანდა მოკლედ პასუხობდა.

— აქ, მონასტერში არიან თუ არა ბავშვებიო? — იკითხა მან ბოლოს.

— რასაკვირველია, არიან — უპასუხა მონაზონმა გულგრილად.

ერთი საათის ლოდინის შემდეგ უცებ ვანდას დერეფნიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. მსუბუქი ნაბიჯები ბავშვების ფეხის ხმად მიიჩნია, კარისკენ გაიქცა და სახელურს წაეტანა თუ არა, მაშინვე გაჩნდა მასთან მონაზონი და მკაცრად უთხრა:

— თუ წყნარად ლოდინი არ გსურთ, ახლავე მიგაბრძანებთ. მე ახლა წავალ და გავიგებ, მიგიღებთ თუ არა წინაძღვარი დღეს. — ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და ვანდას უთხრა: წინამძღვარს საეკლესიო დღესასწაულების დღეს მიწიერი საქმეების განხილვა არ შეუძლიაო. ვანდა სხვა დროს უნდა მოსულიყო და მოსვლა წინასწარ წერილობით ეცნობებინა.

— ქარხანაში ვმუშაობ, მხოლოდ დღესასწაულებზე ვარ თავისუფალი. აქედან არსადაც არ წავალ, — უპასუხა ვანდამ ისეთი მღელვარებით, რომ მორჩილმა გონივრულად ჩასთვალა დაემშვიდებინა იგი და უთხრა, რომ წავა და მორიგე დას მოელაპარაკება. მონაზონი წავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერლინის რეკონსტრუქციისათვის

ჩვენ, ქალები, წარმატებით ვშრომობთ საბინაო საკითხში იმ სამწუხარო მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, რომელიც დაგვიტოვა კაპიტალიზმმა და ჰიტლერის მიერ გაჩაღებულმა ომმა. ბერლინის დემოკრატიულ სექტორში დანგრეული იყო 50 ათასზე მეტი სახლი, ე. ი. 500 ათასზე მეტი ბინა, ანუ 2 მილიონი ოთახი. აღდგენითს სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც ჩქარი ტემპებით სწარმოებს, დაისვა საკითხი - როგორი უნდა იყოს ახალი საცხოვრებელი სახლი. ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალ შენობათა ტიპიური პროექტების განხილვაში. ორი ქალი—ერთი ინჟინერ-მშენებელი, მეორე — არქიტექტორ-დეკორატორი — შეყვანილია საცხოვრებელი სახლების უკეთესი ტიპების შესარჩევად შექმნილი ჟიურის შემადგენლობაში.

ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქალაქის აღდგენის საქმეში, მაგალითად, 16 ქალი ფრიდრიხსჰაინის რაიონიდან მიმდინარე წლის 8 მარტს დააჯილდოვეს «მეისენის მედლით». თვითეულმა მათგანმა ქალაქის აღდგენაზე იმუშავა 1000 საათზე მეტი.

ბერლინის დემოკრატიული სექტორის მუნიციპალიტეტმა, ქალთა დამსახურების აღსანიშნავად, საქალაქო რატუშის წინ დადგა ქანდაკება — «რეკონსტრუქციის მონაწილე ქალი».

გერმანელ ქალთა დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლებმა სახალხო პალატაში (პარლამენტში) წინადადება შეიტანეს მიიზიდონ მომავალი მობინადრენი სამშენებლო სამუშაოებში. ქალები კონტროლს უწევენ სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, მშენებლობის ვადების, ხარისხის, აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას.

**რუტ შირმერი,**

გერმანელ ქალთა დემოკრატიული კავშირის ბერლინის განყოფილების ხელმძღვანელი.

ჟურნალიდან «ჟენშჩინი მირა».

---

ვანდამ ფრთხილად გაალო კარები, გარშემო მიმოიხედა და თითის წვერებზე გაიარა ბნელ გრძელ დერეფანში. მოულოდნელად მის წინ ნაცნობი მონაზონი გაჩნდა მორიგე დასთან ერთად.

— ჩემი შვილების ნახვა მინდა, — იყვირა ვანდამ.

— წერილობითი უფლება გაქვთ?

ვანდამ ყურები ცქვიტა. უფლება? ესე იგი, მისი ბავშვები აქ არიან! იგი მუხლებზე დაეშვა და ორივე ხელებით მონაზონის კაბას ჩაებღაუჭა.

— მაჩვენეთ ჩემი ბავშვები! უნდა ვნახო ჩემი შვილები! — ყვიროდა ვანდა.

— ადექით! — ცივად უთხრა მორიგე დამ, — ადექით! მე მოგიყვანთ ბავშვებს.

ნელა, ყოყმანით წამოიმართა ვანდა. მორჩილმა იგი ცივ, პირქუშ ოთახში შეიყვანა, სადაც ღვთისმშობლის უზარმაზარი ხის ქანდაკება იდგა.

— ილოცეთ! მწუხარება შეგიმსუბუქდებათ, — ურჩია მორჩილმა. ვანდა ავადმყოფური დაძაბულობით შეაცქერდა ხის კერპს. და უცბად მოეჩვენა, თვალის ქუთუთოები ასწია თითქოს მადონამ, ხელი მოჰკიდა კაბაში და თავისკენ მიიზიდა. და ვანდას მეხსიერებაში აღსდგა ძველთაძველი ტაძარი, ათასგვარი წმინდანებით, გალობებითა და წირვებით. მოაგონდა, როგორი სიამოვნებით დადიოდა ხოლმე იგი აქ ბავშვობისას, ქალიშვილობისას და გათხოვების პირველ წლებშიც. შემდეგ, უფრო გვიან, როდესაც მძიმე დღეები დაუდგა, უფრო და უფრო იშვიათად დადიოდა ეკლესიაში. რა ეთხოვა! ვერავინ დაეხმარებოდა, თავისი მხრებით უნდა ეზიდა ამ დუხჭირი ცხოვრების მთელი სიმძიმე, მაგრამ იქნებ, შეცდა? იქნებ, მართლა დაეხმაროს სარწმუნოება?

ვანდამ წინ, ღვთისმშობლისაკენ გადადგა ნაბიჯი, მუხლებზე დაეშვა, ხელები ზეაღმართა და ლოცვა დაიწყო. მხურვალედ, მთელი გრძნობით შეთხოვდა იგი ყავისფერ ხის ქანდაკებას:

— დედაო ღვთისავ, დამიბრუნე ჩემი შვილები! წმინდაო ღვთისმშობელო, სიტყვას გაძლევ ყოველ კვირას ვივლი ეკლესიაში. დამიბრუნე ჩემი შვილები!

თითქოს თავი დაუქნიაო ხის ქანდაკებამ. დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, ვანდა ფეხზე ემთხვია ქანდაკებას, ადგა და კარებისაკენ გაემართა.

ანა და კატერინა მოდიოდნენ. ფერმკრთალი, ნაღვლიანი სახეები ჰქონდათ და ლურჯი ნარმის გრძელ კაბაში იყვნენ გახვეულნი. უმცროსმა დედასთან მიირბინა და მოეხვია:

— დედიკო, წამიყვანე!

ანა, უფროსი, ჩუმად იდგა ბაგემოკუმული. კარებიდან მლიქვნელური, ალერსიანი ხმა გაისმა:

— რატომ გინდა ჩვენგან წასვლა, კატერინა? განა აქ რაიმე არ მოგწონს?

შიშით სავსე მზერა მიაპყრო პატარამ მონაზონს.

— მათ აქ ყველაფერი აქვთ, — სთქვა მონაზონმა, — ღვთისმოსავი გაიზრდებიან.

— ძალიან კარგი, დაო, — უპასუხა ვანდამ, — მაგრამ მე თვითონ შემიძლია აღვზარდო ჩემი შვილები. მე ქურდულად მომტაცეს ისინი და აქ მოიყვანეს. ახლა მათ შინ წავიყვან და შევეცდები ღვთისწყალობით აღვზარდო ისინი.

მორიგე დამ ქედმაღლურად გააქნია თავი.

— აჩვენეთ მას ახალგაზრდობაზე ზრუნვის კომიტეტის განკარგულება, დაო, მორჩილო!

მეორე მონაზონმა ქაღალდი ამოიღო და ვანდას გაუწოდა. ქაღალდზე ეწერა: «დიუსელდორფის წმინდა ვინცეტის ეკლესიის ბავშვთა თავშესაფარს ეძლევა ანა ვილდბახისა და კატერინა ვილდბახის აღზრდის უფლება. ახალგაზრდობაზე ზრუნვის კომიტეტი».

ბოლოში დიდი ბეჭედი.

ვანდამ წაიკითხა ბრძანება, გადაიკითხა მეორედ, მესამედ და ბოლოს მიხვდა თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. შეუკავებელმა ბრაზმა მოიცვა მთელი მისი არსება, მაგრამ გრძნობა დაიმორჩილა და გარეგნული სიმშვიდით სთქვა:

— ბავშვთა აღზრდის საზოგადოებისათვის და ახალგაზრდობაზე ზრუნვის კომიტეტისათვის მე თავზე არ მომიხვევია ჩემს ბავშვებზე ზრუნვა. არც ერთი იმათგანი არ მჭირდება მე. წავიდეთ შვილებო! — ვანდამ ხელი მოჰკიდა სიხარულით თვალებგაბრწყინვებულ ბავშვებს. მაგრამ მორჩილმა სწრაფად დაადო თითი ზარის ღილაკს. მაშინვე მოირბინა ექვსიოდე მონაზონმა და ვანდას სიტყვის თქმაც არ აცალეს, გარეთ გააგდეს და ალაყაფის კარები მიუხურეს. ვანდამ გაიგონა როგორ ატირდნენ ბავშვები. ისინი გალიაში გამომწყვდეულ ჩიტებივით ფართხალებდნენ და დედას ეძახდნენ — წაგვიყვანეო.

თითქოს მთელი ქვეყანა თავზე ჩამოენგრაო, თვალთ დაუბნელდა ვანდას, დაბარბაცდა და იქვე ჩაიკეცა,

— თუ გონივრულად მოიქცევით, უფლება გექნებათ თვეში ერთხელ ნახოთ თქვენი შვილები, — გამოსძახეს ვანდას და წავიდნენ.

თარგმნა გერმანულიდან **იზოლდა ლეჟავამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრიდრიხ შილერი

## დაბადებიდან 200 წლისთავი

1732 წლის 22 სექტემბრის ღამეს 22 წლის შილერი თავის მეგობარ, მუსიკოს ანდრეას შტრაიჰერთან ერთად გამოცვლილი გვარით გაიპარა ვიურტემბერგის სამთავროდან და მანჰაიმს ჩავიდა. ამ დროს გერმანია არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს, ის დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სამთავროებად, რომლებშიც განუყოფლად ბატონობდნენ გონებაშეზღუდული, თავნება ტირანი ჰერცოგები. ერთერთი ასეთი მტარვალი იყო ვიურტემბერგის მთავარი კარლ ოიგენი, რომელმაც სახიფათოდ ნიჭიერ ფრიდრიხ შილერს, მაშინ რეგიმენტის უბრალო ექიმს, ხოლო მომავალში გერმანიის უდიდეს დრამატურგსა და პოეტს—წერა აუკრძალა.

საკმარისი იყო შტუტგარტიდან მანჰაიმში გადასვლა, რომ კაცი საზღვარგარეთ აღმოჩენილიყო, რადგან მანჰაიმში არ ვრცელდებოდა კარლ ოიგენის ძალაუფლება. ის სხვა ჰერცოგის ტერიტორიას წარმოადგენდა.

შილერმა ამით გამოწვევა გაუგზავნა არ.ამარტო ვიურტემბერგის დესპოტ მთავარს, არამედ ომი გამოუცხადა ფეოდალურ წყობასა და ვითარებას. შილერის ეს საქციელი, ერთი კრიტიკოსის სამართლიანი თქმით, სიმბოლიური მნიშვნელობისაა მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

... ჩვეულებრივ შილერს გოეთესთან ერთად მოიხსენიებენ ხოლმე. გოეთე და შილერი გერმანელი ერის ცნობიერებაში თითქოსდა ერთ განუყოფელ ცნებადაა ქცეული, როგორც ილია და აკაკი ჩვენში. გოეთესა და შილერს გერმანელები «პოეტთა წყვილს» ეძახიან.

გერმანელი ერის დაუნაწევრებელმა სიყვარულმა პოეტთა ამ წყვილისადმი თავისებური გამოხატულება ჰპოვა ვაიმარში აღმართულ მათ ძეგლში, სადაც ისინი ხელიხელჩაკიდებული დგანან და დაფნის გვირგვინი თანაბრად უპყრიათ ხელთ. გოეთესა და შილერის ასეთი დაახლოება შემთხვევითი და უმიზეზო არაა: ორივეს სახელი დაკავშირებულია გერმანული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდთან, გერმანული მწერლობის ოქროს ხანასთან, როდესაც შეიქმნა გერმანული ლიტერატურის შედევრები და გერმანულმა მწერლობამ მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა.

...შილერი, ისევე როგორც გოეთე, დაკავშირებულია «შტურმ უნდ დრანგის»*) მოძრაობასთან.

«შტურმ უნდ დრანგი» გერმანული უბადრუკობის, კულტურულ-სულიერი დაქუცმაცებულობის, დათრგუნვილობისა და მონური სულის დაძლევის ცდა იყო. შტიურმერები მიზნად ისახავდნენ შეექმნათ წმინდა ეროვნული ლიტერატურა, ისინი გეზს ერის ისტორიასა, სახვით ხელოვნებასა და ხალხურ გერმანულ პოეზიაზე იღებდნენ. მიუხედავად შტიურმერების, ამ «ორიგინალური გენიების» (როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახდნენ), სოციალურ-პოლიტიკური ჯანყისა, მათ მიერ ფეოდალური წყობის, ჯარისკაცებით ბარბაროსული ვაჭრობის, ხალხის ყვლეფის და ჩაგვრის კრიტიკისა, მათი მოძრაობა ინდივიდუალიზმით, აბსტრაქტულობითა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, «კამერულობით» იყო დაღდასმული. ამ მოძრაობას თითქმის არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია გერმანელ ხალხზე, ის ლიტერატურისა და ხელოვნების ფარგლებს არ გასცილებია.

შილერი, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, შტიურმერად გვევლინება «ყაჩაღებიდან» დაწყებული «დონ კარლოსამდე».

მაგრამ შილერი ვერ ეტევა «შტურმ უნდ დრანგის» ფარგლებში. განსხვავებით სხვა შტიურმერებისაგან, თვით გოეთესგანაც, ჰანს მაიერის სწორი შენიშვნით, შილერი თავიდანვე პოლიტიკური მწერალი იყო: მას იმთავითვე აინტერესებდა გერმანიაში ფართო პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აქციების წარმოების შესაძლებლობა. მას ადრიდანვე იზიდავდნენ პერსონაჟებად დიდი სახელმწიფო მოღვაწეები და პოლიტიკოსები. და შემთხვევითი არ არის, რომ რუსოსთან ერთად, რაც საერთოა ყველა შტიურმერისათვის, მისი გატაცების ობიექტს წარმოადგენდა პლუტარქეც.

«ყაჩაღები» შილერმა 1781 წელს დაასრულა. მისი პრემიერა შედგა 1782 წლის 13 იანვარს მანჰაიმის თეატრში. როგორც ცნობილია, «ყაჩაღების» ავტორი პარიზის ეროვნულმა კონვენტმა უოშინგტონთან, კლოპშტოკთან და პესტალოცისთან ერთად ახალი საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქედ აღიარა (ამ დოკუმენტს ხელს დანტონი აწერდა).

პრემიერამ ფურორი მოახდინა. მთელ გერმანიას მოედო ამბავი ამ ანტიტირანული დრამის შესახებ. «ყაჩაღებში» მოცემულია მძაფრი კრიტიკა იმდროინდელი გერმანიის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ვითარებისა. შეიძლება, სოციალური კრიტიკის მხრივ, მას «შტურმ უნდ დრანგის» ლიტერატურიდან ვერცერთი სხვა ნაწარმოები ვერ ამოუდგეს გვერდში. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს დრამა შეიცავს თვით «შტურმ უნდ დრანგის» კრიტიკასაც.

«ყაჩაღებში» თვალნათლივ ჩანს ამ მოძრაობის კრიზისი და უპერსპექტივობა. კარლ მოორის მაგალითზე შილერი ცხადყოფს ინდივიდუალური ჯანყის განწირულებას. შილერი მკვეთრად ემიჯნება კარლ მოორს. ის წინასიტყვაობაში წერდა კიდეც, რომ არ შეიძლება ავტორის გაიგივება დრამის პერსონაჟებთანო. სწორად შენიშნავს ჰანს მაიერი, შილერი გვიჩვენებს, რომ კარლ მოორი არ არის მიბაძვის ღირსი (იმავე ჰანს მაიერის თქმით, გოეთე არ იჩენს ასეთ დამოკიდებულებას გოცისადმი).

შილერი თავის შემოქმედებაში გვიხატავს ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ («ყაჩაღები», «ფიესკოს შეთქმულება», «ვერაგობა და სიყვარული», აგრეთვე თავისუფლებისა და ჰუმანიზმისათვის («დონ კარლოსი»).

შილერი გერმანელ ხალხში აღვიძებდა ეროვნულ შეგნებას, პატრიოტიზმს («ვილჰელმ ტელი», «ორლეანელი ქალწული», «ვალენშტაინი»).

1791-1795 წლებში შილერი დიდი ინტერესით სწავლობდა კანტის ფილოსოფიას. ამას შედეგად მოჰყვა შილერის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის ნაშრომები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია «წერილები ადამიანის ესთეტიკურ აღზრდაზე» და «ნაივური და სანტიმენტალური პოეზიის შესახებ». რომელიც თომას მანს გერმანული კრიტიკული ლიტერატურის მწვერვალად მიაჩნდა. შილერი ხელოვნებას აკისრებდა ადამიანში დაკარგული მთლიანობის, ჰარმონიის აღდგენას. მისი აზრით, ხელოვნებას ადამიანი ისე უნდა აღეზარდა, რომ ის გამომდგარიყო მომავალი ჰუმანისტური საზოგადოებისათვის. შილერის ესთეტიკაში ხელოვნებას დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია ეკისრება. მას მიაჩნდა, რომ გერმანიაში ადამიანის გაადამიანურების საქმეში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ვითარებანი და ურთიერთობანი ვერ იქონიებენ გავლენას, რადგან ცალკეული პაწაწკინტელა, დაქუცმაცებული სამთავროების ეგოისტი და ჭირვეული მთავრების ანაბრად მიტოვებულ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მაჯისცემა ერთობ უნიათო იყო, ქვეშევრდომები და სახელმწიფო ერთმანეთისადმი გაუცხოებული იყვნენ.

მართალია, თავისი შემოქმედების გარკვეულ საფეხურზე შილერმა ვერ მონახა გერმანიის ემპირიულ სინამდვილეში ჰუმანისტური და ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბება-აღზრდის შესაძლებლობა და მან იდეალის სფეროს, წმინდა ხელოვნების სამეფოს შეაფარა თავი, მაგრამ მისი თითქმის ყველა დრამა აქტუალური მნიშვნელობისაა, ე. ი. ისეთ ნაწარმოებშიც კი, რომლის სიუჟეტი აღებულია ესპანეთის, იტალიის, შვეიცარიის, ინგლისის ანდა საფრანგეთის ისტორიიდან, ყოველთვის იგულისხმება და ფაქტიურად აისახება შილერის დროინდელი გერმანული ვითარებანი. შილერის გატაცება ანტიკით, უკეთ მის მიერ ანტიკური მასალის და გამომხატველი საშუალებების გამოყენება, როდი ნიშნავს მწერლის გაქცევას კლასიკურ ძველ დროებაში, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, შილერის ყველა «ანტიკურ» ნაწარმოებში სპეციფიკურად გერმანული პრობლემატიკა მუშავდება.

შილერმა დასაწყისში საფრანგეთის რევოლუციას იმედის თვალი მიაპყრო. მაგრამ ის წინააღმდეგი იყო ამ რევოლუციის იაკობინური განვითარებისა. შილერს, ისევე როგორც გოეთეს, აძრწუნებდა ის მასობრივი ტერორი, რასაც იაკობინელებმა მიმართეს და ის სისხლის ზღვა, რომელიც იმავე იაკობინელებმა დააყენეს საფრანგეთში. მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები ჰანს მაიერი, უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან მის მიერ იაკობინელების უარყოფა და ის საერთო შეფასება, რასაც იგი მთლიანად საფრანგეთის რევოლუციას აძლევდა, ანდა ის ზეგავლენა, რაც საფრანგეთის რევოლუციამ მის შემოქმედებაზე უეჭველად მოახდინა.

... განსხვავებით გოეთესაგან, შილერს უამრავი გაჭირვებისა და ტანჯვის გადატანა მოუხდა, ის ხანგრძლივად ებრძოდა განუკურნებელ სნეულებას და უდროოდაც, 46 წლის ასაკში, გარდაიცვალა (1759-1805), მაგრამ მას არასოდეს არ განელებია დემოკრატიულ-ჰუმანისტური პათოსი, არასოდეს არ მოდუნებია მგზნებარე მებრძოლი სული და მისთვის არასოდეს არ უმტყუნებია ლიტერატურულ გემოვნებასა და ესთეტიკურ ალღოს. ამიტომ არის, რომ მადლიერი გერმანელი ხალხი ასეთი მოწიწებითა და სიყვარულით იგონებს თავის უდიდესსა და უპატიოსნეს შვილს.

**ნოდარ კაკაბაძე**

*). „შტურმ უნდ დრანგი"—ლიტერატურული მოძრაობა გერმანიაში დაახლოებით 1767 და 1785 წლებს შორის; იბრძოდა აბსოლუტისტური ტირანიისა და დრომოჭმული ლიტერატურული ტრადიციების წინააღმდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მშობლიური კერა

ილზე იუნგი

— ნახვამდის, დედიკო!

— ნახვამდის, უტე. იცოდე, წესიერად მოიქეცი!

— ვეცდები, დედიკო.

ქალმა ღიმილით გააყოლა თვალი ბაღის ბილიკზე მიმავალ ქალიშვილს, რომელიც ვილისკენ მიემართებოდა ჩანთის ქნევით.

— როგორ გაიზარდა, როგორ დაქალიშვილდა!—ფიქრობდა დედა, და როცა შვილი ხეებს მიეფარა, ქალაქისაკენ იბრუნა პირი.

ჩვენ, ამ სცენის მოწმენი, გოგონას კვალს გავყევით. გავიარეთ ბაღის კარი. მარცხნივ დავინახეთ დიდი შენობა. ერთი იმ ვილათაგანი, რომლებსაც გაბღენძილი მეფაბრიკეები აგებდნენ სამრეწველო ცენტრების მისასვლელებთან. უზარმაზარ ბაღში, ვილის გვერდით, გადაჭიმულიყო გრძელი ერთსართულიანი ხის შენობა, ეტყობოდა ახლახან იყო აგებული.

ბაღში ბავშვები დახტოდნენ, უცბად ზარმა გაიწკრიალა. ისინი ხის შენობისკენ გაეშურნენ.

თუ ზარის ხმა არა, ვერავინ იფიქრებდა, რომ აქ სკოლა იყო. ნამდვილად კი სკოლაა, ახალი ტიპის სკოლა. მას ვეისენფელსის დღის სკოლა-ინტერნატი ჰქვია...

ერთ საათში სკოლის დირექტორმა ოლბრიხტმა გაგვაცნო ზოგად ხაზებში სკოლა და მისი ამოცანები,

ათკლასიანი დღის სკოლა-ინტერნატი ვეისენფელსში გაიხსნა 1958 წლის სექტემბერში. აქ 300 ბავშვი სწავლობს, მათ 22 პედაგოგი ემსახურება. სკოლა-ინტერნატის მოწყობის წინადადება წამოაყენა ფეხსაცმლის სახალხო ფაბრიკის «ზნამია მირას» ქალთა კომიტეტმა. ამ სკოლაში უმთავრესად ის ბავშვები სწავლობენ, რომელთა მშობლები საწარმოში მუშაობენ. სკოლაში ბავშვები იმყოფებიან მთელ დღეს—დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე. თავისთავად ცხადია, რომ აქ სწავლება, ისევე როგორც საერთოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უფასოა. კვებისათვის კი (ბავშვებს ეძლევათ ნოყიერი საუზმე ბუტერბროტით და რძით, შესანიშნავი სადილი, შუადღისას რძიანი ყავა და ფუნთუშები) მშობლები თავიანთი გამომუშავების მიხედვით დღეში იხდიან 60 პფენინგიდან 1,5 მარკამდე.

განვიზრახეთ ბავშვთა ცხოვრებასა და სწავლას გავცნობოდით.

სკოლა მოთავსებულია ხის შენობაში, მე-7 კლასში გეომეტრიის გაკვეთილი იყო, და როცა ჩვენმა ფოტოაპარატმა გაიჩხაკუნა, ბავშვებმა მხოლოდ მაშინ ერთი წამით მოაშორეს ყურადღება თეორემას წრის ფართობის შესახებ. მეხუთე კლასში გეოგრაფიის გაკვეთილი მიმდინარეობდა და გული დაგვწყდა, სწავლა ჩვენს დროს ასეთი საინტერესო რომ არ იყო. მოსწავლეებს გაეკეთებინათ მზის სისტემის მოდელი შუაში დიდი მანათობელი ბურთით-მზით. იქვე, მეექვსე კლასში ყველა სკამი (მერხები მხოლოდ უმცროსს კლასებში შემორჩა) ცარიელი აღმოჩნდა.

— მათ ახლა შესვენება აქვთ,— გვითხრა ბიჭმა, რომელმაც გვერდზე ჩაგვირბინა.

რას აკეთებდნენ მეექვსეკლასელები შესვენების დროს? შევდივართ ვილაში, სადაც განლაგებულია ოთახები დასვენების და თამაშობებისათვის და სასადილოები. ბავშვებს ორ დიდ ოთახში მოუყრიათ თავი. ღია ფერის შპალერი, ლამაზი ფერადი ფარდები, ყვავილები ვაზებში, ყოველ მაგიდასთან მიდგმული ოთხიექვსი მოხერხებული სკამი,—ყველაფერი ეს ქმნის ოჯახური მყუდროების ატმოსფეროს. მოწაფეებთან იყო კლასის ხელმძღვანელი, იგი არაფრით არა ჰგავს «აბეზარ ზედამხედველს».

— მეთამაშეთ ჭადრაკი,—სთხოვა მას ერთერთმა მოსწავლემ. მასწავლებელი ხალისით დაეთანხმა. მათ შემოეხვივნენ ჭადრაკის მოყვარულები. დანარჩენმა მოსწავლეებმა კარადებიდან გადმოიღეს მაგიდის სათამაშოები, კითხვისმოყვარულთ წიგნების კარადიდან გამოაქვთ საინტერესო წიგნები. ასარჩევი კი ბლომადაა— დაწყებული «დათვის ბელ ბრუმით», გათავებული «ახალგაზრდა გვარდიით». ვხედავთ, არცერთი მოწაფე არ «იზეპირებს».

— როგორ დგას საშინაო დავალების შესრულების საქმე?—ვეკითხებით დირექტორს.

— საშინაო დავალებანი მოსწავლეებს არ ეძლევათ,—აგვიხსნა მან,—ყველა მასალას მოსწავლეები აქ მასწავლებელთა მეთვალყურეობით ამუშავებენ. რთულ საგნებს, მაგალითად, მათემატიკას დათმობილი აქვს ორ-ორი საათი ზედიზედ. ამასთან მეორე გაკვეთილზე კონკ-



რეტული მაგალითების ჩვენებით ხდება ერთი საათის წინათ ახსნილი მასალის გაღრმავება და განმტკიცება. გამონაკლისს შემთხვევაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან სამეცადინოდ ვიყენებთ შესვენების დროსაც. ეს მეცადინეობა ხშირად თამაშის ხასიათს ატარებს. მაგალითად, თუ მოსწავლე ჩამორჩა არითმეტიკაში, ვაწყობთ «უნივერმაღობანას», ჩამორჩენილი მოსწავლე ასჟულებს გამყიდველის როლს, მას უხდება საქონლის ღირებულების გამონგარიშება და ამგვარად. თამაშის პროცესში ეუფლება მიმატებასა და გამრავლებას.



სკოლა-ინტერნატში ჩვენ ხუთშაბათს მივედით. საერთოდ ამ დღეს სადილობის შემდეგი დრო განკუთვნილია წრეებისათვის. ერთ ოთახში «რადიოსადგური» მუშაობდა. ბავშვები ბეჯითად ეუფლებოდნენ მორზეს ანბანს. მეორე ოთახში «არტისტები» შეკრებილიყვნენ რეპეტიციაზე. მეზობელ ოთახში პიანინოს უკრავდნენ, იქ მოცეკვავეთა წრის წევრები ვარჯიშობდნენ, ხალხურ ცეკვას სწავლობდნენ. ცუდი ამინდი იდგა, მაგრამ ნორჩი ნატურალისტები მაინც გასულიყვნენ ბაღში სამუშაოდ. ერთი ოთახიდან აფეთქებათა ხმა ისმოდა, იქ «ქიმიკოსები» იყვნენ. ხელსაქმის წრეში ისევე ბეჯითად ქსოვდა ბიჭუნა, როგორც მისი მეგობარი გოგონა. დურგლობის შემსწავლელ წრეში ვნახეთ გოგონები, რომლებიც ბიჭებზე ცუდად როდი ხმარობდნენ ჩაქუჩსა და ხერხს.

— ჩვენი ტაქსი მოვიდა!—დაიძახა ბიჭუნამ, რომელიც ქოშინით შემოვარდა ოთახში.

— ნუთუ ხუთი საათია უკვე?

სინანულით ინახავენ ბავშვები იარაღებს, «რადისტები» ყურმილებს იხსნიან, ფრთხილად, თვალი რომ არ ჩაუვარდეს, კეცავს თავის ნაქსოვს ბიჭუნა. რამდენიმე წუთიც და ბავშვები ავტობუსში სხდებიან. შინისკენ მიდის უტეც. მას, ალბათ, უკვე ელოდება დედა, დედა, რომელსაც გული არხეინად აქვს, იცის, რომ მის გოგონას სკოლა-ინტერნატში არ აკლია ყურადღება და მზრუნველობა.

ჟურნალიდან „გდრ“

---

იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




რალფ ვინერი

## ტელეფონით საუბარი

ეს მოხდა გვიან საღამოს. უკვე დაწოლას ვაპირებდი, როდესაც სურვილი აღმეძრა ერთხელ კიდევ დამერეკა კარენთან და ღამე მშვიდობისა მესურვა მისთვის. ვთქვი და გავაკეთე კიდეც. კარენი გამომეხმაურა. «ვინ ლაპარაკობს?»—იკითხა მისმა უმანკოდ მოწკრიალე ხმამ. «გამოიცანი!» — ვიხუმრე მე. მაგრამ, ნეტავ, არ მეხუმრა. იმავე წამს კარენმა წარმოსთქვა ერთი სიტყვა, რომელმაც უცბად სუნთქვა შემიკრა, «კლაუს?» — იკითხა მან ალერსიანი ხმით. ელდა მეცა, მაგრამ თავი შევიკავე და ვუპასუხე მშვიდად, თითქოს მის კითხვას ვეთანხმებოდი: «ჰმ». «ახ, კლაუს, როგორც იქნა, გაგახსენდი,» — ისმოდა მხიარული ხმა ყურმილში. «მე კი როგორ ველოდი შენს გამოჩენას. რამდენი ხანია აღარაფერი ვიცი, არ შეგიძლია ერთი საათით მაინც მოხვიდე ჩემთან?» «მოვდივარ»—ვუთხარი მე და ვცდილობდი არ შემჩნეოდა ეჭვი ვიღაც კლაუსის მიმართ.

კარენი სახტად დარჩა, როდესაც ტელეფონით საუბრის შედეგად მასთან მე გამოვცხადდი. «ვინ არის კლაუსი?» — მოკლედ მოვჭერი მე. მან, ალბათ, უსარგებლოდ ჩასთვალა ბრალდების უარყოფა და მალე გავარკვიე, რომ ამ ამბავში ერთერთი ჩემი მეგობრის ხელი ერია. «მან მითხრა, რომ ნამდვილად ვუყვარვარ». — გულწრფელად აღიარა კარენმა. უნებლიედ გამეცინა. «მას ხომ ყოველ თითზე სულ ცოტა, ათი ქალი მაინც ჰყავს გამობმული». «რალფ, ნუ ლაპარაკობ ასე შენს მეგობარზე!» «ეს სიმართლეა». «ვერ დავიჯერებ». მე ტელეფონთან მივედი. «გთხოვ, გამოუძახო მას». კარენმა ნომერი აკრიფა. კლაუსის ხმამ მიპასუხა. «ვინ ლაპარაკობს?» — იკითხა მან. კარენს ვუბიძგე. «გამოიცანი» — ჩასძახა მან, როცა ჩემს ნიშანს მიხვდა. «ლილო?» — მოისმა მთრთოლვარე ხმა ყურმილში, «ჰმ!»—წარმოსთქვა კარენმა. «ახ, ლილო, მთელი დღე შენზე ვფიქრობდი. ხვალ აუცილებლად მოვალ». კარენისათვის ეს საკმარისი იყო და გაწბილებულმა ხელი გაუშვა მილს. «აბა, გითხარი თუ არა.?» — ამაყად განვაცხადე და გუნებაში ტელეფონის გამომგონებელს ვლოცავდი. «შენ ყველაზე კარგი ხარ!»—წაიჩურჩულა კარენმა და კისერზე მკლავი შემომაჭდო.

როდესაც სახლში დავბრუნდი, ტელეფონის წკარუნი შემომესმა. «ვინერი ვარ»,—ვუპასუხე. «ვინ ლაპარაკობს?» «გამოიცანი!» — მომესმა ცელქი ხმა. გამეცინა. «ახ კარენ, რა კარგია, რომ კიდევ რეკავ. მეგონა, უკვე გეძინა. ახლაც ვგრძნობ ტუჩებზე შენს ამბორს, რომელიც ოცი წუთის წინ დამშვიდობების ნიშნად მაჩუქე».

«არამზადავ!»—დაიგუგუნა მილმა და იმავე წამს აპარატში ჩხაკუნი გაისმა. ეს იყო ზიგრიდი.

## ერთხელ რესტორანში

ერთხელ გამოჩენილი გერმანელი მხატვარი ადოლფ მენცელი იჯდა რესტორანში და საუზმობდა. ამ დროს აქ შემოვიდა ფრიად ექსცენტრულად ჩაცმული წყვილი, რომლებმაც ცნობისმოყვარეობითა და ერთგვარი გაოცებით შეავლეს თვალი იაფფასიან რესტორანში მყოფ მხატვარს. მენცელმაც ყურადღებით ჩაათვალიერა ისინი, შემდეგ ამოიღო ესკიზების რვეული და დაიწყო ხატვა. წყვილმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რადგანაც მენცელი ხშირად აკვირდებოდა ქალს ხატვისას. ბოლოსდაბოლოს მენცელის მოქმედებით აღშფოთებული კავალერი მიიჭრა მხატვართან და კატეგორიულად მოსთხოვა პასუხი:

«ბატონო ჩემო! თქვენ ჩემი ნებართვისა და სურვილის წინააღმდეგ ხატავთ ჩემს მეუღლეს. გთხოვთ პასუხი აგოთ!»

მენცელმა მშვიდად გაუწოდა თავისი რვეული, რომელშიც ჩახატული იყო ქედმაღლურად გამომშირალი ბატი და უთხრა: «თუ ეს თქვენი მეუღლეა, დიდი სიამოვნებით».

# არ გეწყინოთ, ქეთაყვა!

მხოლოდ მამაკაცებისათვის

ცოლი სადილად მუდამ შენს მოსვლას ელოდება. ხომ არ გავიწყდება გააფრთხილო, როცა იგვიანებ?

ხომ არ ხდება ისე, რომ საზოგადოებაში დასცინი შენი ცოლის რაიმე თვისებას? არ აჯობებს სახლში, ცალკე მიუთითო ნაკლზე?

ცოლი სამსახურიდან შენსავით დაღლილი დაბრუნდა. ხომ არ მოითხოვ მისგან გაგიწმინდოს ფეხსაცმელი, დაგიუთოოს შარვალი, ესე იგი, გაგიკეთოს ის, რის გაკეთება შენც მშვენივრად შეგიძლია?

ჩქარა შენ და შენი ცოლი ვერცხლის ქორწილს გადაიხდით. აბა გაიხსენე, ამ ხნის მანძილზე რამდენჯერ მიგიტანია მისთვის ყვავილების თაიგული?

ჩამოართმევ თუ არა ჭურჭელს, როცა დაინახავ წყალზე მიმავალ დედას ან ცოლს?

სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ შენ დასვენება გჭირდება. მაგრამ ხომ გახსოვს, რომ მამა ხარ და დღეში ერთი საათი მაინც უნდა გამოძებნო შვილთან სასაუბროდ?

ხომ არა ხარ ისეთი დესპოტი, რომ სახლში სულს ხდი ცოლს, საზოგადოებაში კი აღარ იცი, რით სცე პატივი და თავაზიანობის მაგალითი იძლევი?

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე ჩინური ფერწერის ნიმუშები

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X—59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ნაბეჭდ ფორ ... 3.5

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.

შეკვეთის № 1132. უე 07127

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.

Издательство ЦК КП Грузии.

1959. 10/XI



«სიკვდილი თუ პური» — ერნსტ იაზდაევსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ 1/26
ეროვნული ბიბლიოთეკა



ხ 13/240